# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 26 ნოემბერი 2004 №275 (2296) ფასი 50 თეთრი



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ტყემალი



# საცირკო წარმოდგენა

## ჯამბაზების დასი უკოზირო მწვრთნელის წინააღმდეგ



**უეფას თასი 2004-2005**
**D ჯგუფი. 1-ლი ტური**

თბილისი. 25 ნოემბერი. 20 საათი. ლოკომოტივი. 8 000 (ტევადობა 25 600)

**დინამო 0:4 სპორტინგი**

0:1, 0:2, 0:3 ლიდსონი (7, 30, 60), 0:4 ჭიჭველიშვილი (90ს.პ.)



მწვრთნელი გია გეგუჩაძე

1 ზოიძე

14 სილაგაძე 2 ჭიჭველიშვილი

5 ზაშიაშვილი 16 კვირკველია

4 სალუქვაძე 3 კანდელაკი

23 კანკავა

21 კაკალაძე 25 რომერო

18 მელქაძე

31 ლიდსონი 17 დუალა

45 უგო ვიანა

23 რუი ჟორჟე 5 მიგელ გარსია

26 როჩემბაკი 27 კუშტუდიუ

4 ანდერსონ პოლგა 14 ენაკარპირე 15 კ. მარტინში

76 რიკარდუ

მწვრთნელი ჟოზე პეშეირო

შეცვლა: დუალა –25. პაულუ სერჟიუ (65), კუშტუდიუ – 22. ბეტუ სევერუ (69), როჩემბაკი –77. ტინგა (69), სალუქვაძე – 11. დვალი (75), კაკალაძე – 28. ქეცერუა (75), კანკავა –20. მახარაძე (88)

გაფრთხილება: კვირკველია (56), ქეცერუა (82)

მსაჯები: კერი რიჩარდსი; მაიკლ ჯოუნსი, ფილიპ ბეიტსი; ბრაიან ლოულორი (ყველა უელსი)

უეფას ინსპექტორი: სერჟ მუმენტალერი (შვეიცარია)

უეფას დელეგატი: მიხალ ლისტკევიჩი (პოლონეთი)

**დავით თავართქილაძე**

დუალა მოხდენილი ფინტით გვაწონებს თავს. „დინამო“ ზუსტად ისევე თამაშობს, როგორც ამას საერთოდ გია გეგუჩაძის ხელში აკეთებს — დაცვაში თამაშგარეს ზღვარზე და კიდევ რაღაცები — ასეთი იყო მატჩის პირველი წუთები, რაც მთელი მატჩის ლაიტმოტივი გამოდგა — „სპორტინგი“ ჯამბაზობდა, „დინამო“ კი იგივეს იმეორებდა, რასაც წინა მატჩებში ეძალებოდა, მაგრამ გამეორება ცოდნის დედა არ გამოდგა.

„დინამო“ ყველანაირად მოუმზადებელი აღმოჩნდა უეფას თასის ჯგუფური ეტაპისთვის. კლუბის პოლიტიკა ნათელია — დღევანდელ შედეგს ხვალინდელისთვის საფუძვლის ჩაყრა ჯობია — მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ „დინამომ“ ჯგუფში ჯერ გოლიც ვერ გაიტანა და აქეთ რვა გაუტანეს? რა ვუყოთ ჩვენი ფლაგმანის სახელს და რეპუტაციას? რა ვუყოთ იმას, რომ სამატჩო განაცხადში შეყვანილი ლადო ახალაია არც კი იმყოფებოდა სათადარიგოთა სკამზე? რა ვუყოთ იმას, რომ „დინამოს“ ტაქტიკური მრავალფეროვნება არ შეუძლია და ყველა თამაშს სხვადასხვა შემადგენლობით, მაგრამ ერთნაირი ტაქტიკით თამაშობს? რა ვუყოთ იმას, რომ გუშინ „ლოკომოტივზე“ ბადრი პატარკაციშვილის ცირკი უფრო იყო, ვიდრე საფეხბურთო გუნდი?

„გუნდში“, ცხადია, „სპორტინგს“ ვგულისხმობთ, რომელსაც პატარა საცირკო წარმოდგენების გამართვის საშუალება „დინამომ“ მისცა.

კარგია, რომ „დინამო“ ხვალინდელი დღისთვის აპირებს საფუძვლის ჩაყრას, მაგრამ განა ვინმეს სჯერა, რომ რომერომ თავდადებული ბრძოლის გარდა ფეხბურთის თამაშიც იცის?! და განა ვინმეს სჯერა, რომ ალეკო გოგობერიშვილმა, ლადო ბურდულმა და სანდრო იაშვილმა ამ დინამოელებზე ნაკლებად იციან ფეხბურთის თამაში?! წარსულის, თუნდაც უახლოესის გახსენება ვინძლო მოსაბეზრებელიც იყოს, მაგრამ თუ წარსულზეც არ იფიქრე, განა მომავალს შექმნი?!

რაც „დინამომ“ უეფას თასის ორი საკვალიფიკაციო და პირველი ეტაპი გადალახა, კოზირები გია გეგუჩაძეს ეჭირა და სვლაც მისი იყო, მაგრამ დღეს უკვე ჩამორთმეული აქვს მას ეს კოზირები, სვლა კი შერჩა — ჯგუფის ბოლო მატჩი „პანიონიოსთან“ და მომზადება სეზონის მეორე ეტაპისთვის — გრძელი სვლაა და ფიქრისთვისაც საკმარისი დრო უნდა იყოს, თორემ გუშინდელი მარცხისგან ტრაგედიას ალბათ შექსპირიც ვერ გამოაცხობდა.

...დუალამ კარლუშ მარტინშს გაუჭრა პასი, მან ლიედსონს, ვინც ირაკლი ზოიძესთან პირისპირ აღმოჩნდა და 0:1.

...მიხეილ კაკალაძემ ფლანგური ჯარიმა მოინადირა, დავით კვირკველიამ ჩააწოდა, ლაშა სალუქვაძის თავური მიზანს ასცდა.

„სპორტინგმა“ ბურთი გააგორა და დაუმალა კიდეც „დინამოს“, პორტუგალიელებმა დინამოელებს თავიანთი კლასი დაანახეს, ევროპული საზომით ძალიან მაღალი არა, მაგრამ მაინც კლასი. „დინამოს“ უბურთოდაც მოუწია ბევრმა სირბილმა, მაგრამ მომენტალურად მაინც ფეთქდებოდა, აქტიური ფეხბურთის თამაშს ცდილობდა, რაც კარგად არ გამოსდიოდა.

...ლევან სილაგაძემ უხეიროდ მიაწოდა თავით ბურთი ზოიძეს, მაგრამ ლიედსონს ხელი მოეცარა, რადგან ზოიძე შმაგად გამოექანა ბურთისკენ.

...სილაგაძე-ჭიჭველიშვილის დუბლშეცდომა — ლიედსონმა კარმიტოვებულ ზოიძეს ერთხელაც გაუტანა — 0:2.

...ბრაზმორეული „დინამოს“ შეტევა, კაკალაძე ერთ მეტოქეს გასცდა, ბურთი კარგად გადაიგდო მარჯვენა ფეხზე, მაგრამ „სპორტინგის“ კარს ველარ დაუმიზნა.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, „დინამო“ დიდი მუხტით აფეთქდა. ლევან მელქაძემ კარგად გააბითურა მცველი, ფლანგიდან შუისკენ ჩაჰკიდა, მფრინავ ბურთს დავით კვირკველიამ შეაგება ცაცია და კარისკენ წასული მრგვალი საგანი მოხვდა... არბიტრს.

აფეთქებას გვარჯილა და დეტონატორი თანდათან ეცლებოდა, რასაც „სპორტინგის“ მესამე გოლი მოჰყვა — ლიედსონმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა, დუალა ზოიძეს შეატოვა, დუალამ წაიჯამბაზა, ბურთი ზევით ააგდო, თავით გადაუგდო მეკარეს, რომლის იქით ლიედსონი აღმოჩნდა და ჰეთ თრიქიც მიითვალა.

„დინამო“ პრესტიჟის გოლისთვის გაიქაჩა, მელქაძემ და ჯაბა კანკავამ შორი და საშუალო დისტანციებიდან დაუშინეს ბურთები რიკარდუს კარს, მაგრამ ამაოდ — გოლი კვლავ „სპორტინგმა“ გაიტანა, გოლი „დინამოს“ ვერა და ვერ გააქვს ჯგუფის მესამე თამაშშიც კი.

ეს წერილი მატჩიდან მცირე ხანში იწერება. ასეთ დროს ღრმა, თუნდაც ჟურნალისტიკური ანალიზიც ძნელია, მაგრამ ეს წერილი თბილისის „დინამოზე“ იწერება, რომელმაც ევროშემოდგომა გვაჩუქა, მაგრამ გუშინ...

რიკარდუ, პოლგა, როჩემბაკი, პაულუ სერჟიუ — ცნობილი სახელები და „ლოკომოტივზე“ ჩინებულად მობურთავენი — კარლუშ მარტინში, დუალა, ლიედსონი — „დინამო“ მათ ჯერ ვერ დაეტოლება.







# ნამატჩევს



*დავით კვირკველია:* საწყენია ასეთი მარცხი, მაგრამ დღევანდელ ფეხბურთში ამგვარ უხეშ შეცდომებს „სპორტინგზე“ დაბალი კლასის გუნდიც არ გაპატიებს. პირველ ტაიმში გაშვებულმა გოლებმა კი ფსიქოლოგიურად მოგვშალა და თამაში ველარ ავაწყეთ.

*ლევან მელქაძე:* საშინლად წავაგეთ. თამაში თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ გოლი მალევე გავუშვით და მგონი, ამან გაგვტეხა, ყურები ჩამოვყარეთ და. მეორედ ბურთიც ამის გამო მივიღეთ.

— შენი აზრით, პირველი გოლის ფაქტორი იყო გადამწყვეტი?

— გადამწყვეტი თუ არა, დიდი გავლენა მაინც მოახდინა. ველარ ავაწყეთ თამაში.

— მეორე ტაიმი შეტევებით დაიწყეთ და მერე რა მოხდა, ენერგია აღარ გეყოთ?

— ალბათ, ასეც იყო. ჩვენ ბევრი დავაკელით, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ შეცდომები. თანაც, „სპორტინგი“ ძალიან ძლიერი გუნდი ყოფილა, ჩემი აზრით, „სოშოზე“ ძლიერიც.

— ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგტეხავთ ეს წაგება?

— რა თქმა უნდა, 0:4 ფსიქოლოგიურად დაგთრგუნავს, მაგრამ ამის დრო არ გვაქვს. სამ დღეში ჩემპიონატის თამაშია და აქეთ უნდა გადავერთოთ, ჩემპიონები მაინც უნდა გავხდეთ.

*ლაშა სალუქვაძე:* „სპორტინგმა“ ყველაფრით გვაჯობა, თქმა არ უნდა, რომ ჩვენზე ძლიერები არიან, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, ჩვენ კი მაინც ახალგაზრდული გუნდი ვართ. ერთი მხრივ, კარგია, ასეთი დონის კლუბს რომ ეთამაშები, უფრო მეტ გამოცდილებას მიიღებ. პირველ წუთებზე გაშვებულმა გოლმა დიდი როლი ითამაშა, მერე კი ყველაფერი ერთმანეთზე აეწყო. წაგებას მაინც ჩვენს შეცდომებს უფრო ვაბრალებ, რამდენჯერმე უხეშად შევცდით.

— შენ უჩვეულო პოზიციაზე, საყრდენ ნახევარმცველად ითამაშე...

— მწვრთნელი რასაც დაგავალებს, უნდა შეასრულო. რა თქმა უნდა, კარგად ვერ ვითამაშე, 0:4-ს რომ წააგებ, კმაყოფილი როგორ უნდა იყო. რა ვიცი, საბოლოოდ ისევ მწვრთნელი გააანალიზებს ჩვენს შეცდომებს. ისე, საყრდენად ერთი-ორჯერ მითამაშია, თუნდაც ახალგაზრდულ ნაკრებში რუმინეთთან, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო...

— „სპორტინგისგან“ ასეთ თამაშს ელოდი?

— კი, ევროპული კლასის გუნდია და გამოცდილებით მაგრად გვაჯობეს, ძალიან სწრაფი ფორვარდები ჰყავდათ, მაგრამ უხეში შეცდომები რომ არ დაგვეშვა, ასე ვერ გაისეირნებდნენ.



ბრაზილიელმა ლიედსონმა ირაკლი ზოიძეს სამჯერ გაუტანა

# პრესკონფერენცია

*გია გეგუჩაძე:* ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ფაქტია — „სპორტინგი“ დღეს ჩვენზე ძლიერია. რამდენიმე საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

...მეტოქისგან ვინმეს გამორჩევას ნუ მთხოვთ, თორემ მთელი გუნდის ჩამოთვლა მომიწევს.

...ახალაია განაცხადში კი შევიყვანეთ, მაგრამ მერე შეუძლოდ შეიქნა და სათადარიგოთა სკამზეც ამიტომ არ იჯდა.

...არ ვთვლი, რომ სალუქვაძის საყრდენ ნახევარმცველად დაყენებაში შევცდი.

...ვერ ვიტყვი, რა მოხდებოდა, შეცვლები ადრე რომ გამეკეთებინა. ამაზე ლაპარაკი ახლა ძნელია.

...ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ჭიჭვეიშვილი შესაცვლელი იყო. მისი კარგი თამაშებიც გვახსოვს. მართალია, დღეს შეცდომები ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთში ასეც ხდება. ამის გამო ძალიან ნუ გაგვაკრიტიკებთ. ეს ჩემი თხოვნაა.

...ჩვენ გვსურს, ახალგაზრდებმა გამოცდილება შეიძინონ. დღეს „სპორტინგთან“ 0:4 რომ წავაგეთ, ხვალ აღარ უნდა წავაგოთ. ამით ეს მატჩიც სასარგებლო იყო. სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

...ანგარიში ლოგიკურიაო, ნაღდად ვერ ვიტყვი. პირველი ტაიმის მერე 0:2 წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ რას ვიზამთ...

*ჟოზე პეშეირო:* ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. პირველი ორი გოლი მეტოქემ გვაჩუქა და ამის მერე თამაში კარგად წაგვივიდა.

...„დინამო“ ძალიან ტექნიკური და მიზანსწრაფული გუნდი ყოფილა. იბრძოლა, მაგრამ უხეში შეცდომები დაუშვა.

...მეორე ტაიმი ისე დაიწყო, კინაღამ გული გამისკდა. „დინამომ“ ძალიან მაგრად შემოგვიტია, მაგრამ... ეტყობა, გამოუცდელი გუნდია. ამ ბიჭებისგან მალე კარგი გუნდის გაკეთება შეიძლება.

...დინამოელთაგან 18 (მელქაძე) და 21 (კაკალაძე) ნომრები მომეწონენ.

...როცა ანგარიში 2:0 გახდა, ჩვენთვის ყველაფერი იოლი იყო. 3:0-ზე კი თამაში დამთავრდა. ამის მიუხედავად, „დინამოს“ დაცვაზე არ უფიქრია და სულ შეტევისკენ იწევდა. ეს ძალიან მომეწონა.

...ვფიქრობ, „სოშოსთან“ არ უნდა წავაგოთ. მაშინ უფრო კარგად ითამაშეთ.

...უეფას თასის ფინალი ჩვენს სტადიონზე ტარდება და ძალიან გამიხარდება, ფინალში თუ გავალთ, მაგრამ... რა თქმა უნდა, ეს უძნელესი საქმე იქნება იქნება.

პრესკონფერენციის ბოლოს სიტყვა „სპორტინგის“ პრესსამსახურის უფროსმა კარლოს სევერინომ ითხოვა და ჩვენს ქებად დაიღვარა, ეს რა თბილი ხალხი ყოფილხართო. სტუმრებმა მასპინძლობა მოგვიწონეს და... „მადლობა, მადლობა“ — პეშეირო და სევერინო რიგრიგობით გვიხდიდნენ მადლობას, თანაც ქართულად. აბა, ასეთი სიტყვების მერე პორტუგალიელებს ტაშს ვინ დაამადლიდა.

## ჩვენი ჯგუფი

**სოშო 0:4 ნიუკასლი**

0:1 ბოიერი (29), 0:2 ამეობი (46), 0:3 ბელამი (75), 0:4 რობერი (90)
სოშო: რიშერი, ს. დიავარა, პეისლი, ო. დაფი, იზაბე (ს. დიარა 84), ლონფატი (ბუდარენე 17), მატიე, ორუმა, პიტო, ილანი, მენეზი (ფუშ სანტუში 57)
მწვრთნელი: გი ლაკომბი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ელიოტი, ბერნარი, ბრამბლი, ამბროზი (ს. ტეილორი 90), ბოიერი (დაიერი 62), ბატი, მილნერი (რობერი 80), ბელამი, ამეობი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბოიერი (12), ბერნარი (42)
მსაჯი: მეხია დავილა (ესპანეთი)
15 173 მაყურებელი

# კაჭკაჭებმა ევროპას კარი დაუკეტეს



ფრანგებმა კაჭკაჭებთან წაიდედლეს

„ნიუკასლმა“ შინ „დინამოს“ ორ გოლზე მეტი ვერ გაუტანა, მაგრამ საფრანგეთში „სოშოს“ ოთხი მიართვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. გრემ სუნესის „კაჭკაჭებმა“ სამ მატჩში ცხრა ქულა ისე მოაქუჩეს, გოლი არ გაუშვიათ. უეფას თასზე მოთამაშე ორმოცი გუნდიდან კარის სიმშრალით ნიუკასლელთა გარდა მხოლოდ „რეინჯერსი“ დაიტრაბახებს.

კირონ დაიერი, ჯერმენ ჯენასი, პატრიკ კლუივერტი და ლორან რობერი მწვრთნელმა სათადარიგოებში დატოვა, რადგან ზეგ „სენტ ჯეიმს პარკზე“ „ევერტონს“ მასპინძლობს, ალან შირერს კი მსუბუქი ტრავმა აწუხებს და დასვენების უფლება მისცა. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდნენ დარენ ამბროზი, ჯეიმს მილნერი, შოლა ამეობი და რობი ელიოტი.

ლი ბოიერმა მეათე წუთზევე მოასწრო ჟერემი მენეზთან უხეშობა და გაფრთხილების მიღება, მენეზმა კი მოგვიანებით სახიფათო საჯარიმო დარტყმით „უპასუხა“, რომელიც შეი გივენმა მოიგერია. კრეიგ ბელამიმ ჯეიმს მილნერის კარგი პასი ვერ გამოიყენა — ბურთი ხარიხას გადაავლო, სამაგიეროდ, ამეობის ფინტების შემდეგ ლი ბოიერმა იხეირა — საჯარიმოს გარედან დაჰკრა და სეზონში პირველი გოლი მიითვალა.

მასპინძლები მეტოქის საჯარიმოს მიეძალნენ და გივენმა „ნიუკასლი“ ორჯერ იხსნა. ირლანდიელმა ილანის დარტყმული ფეხით მოიგერია, მიკაელ იზაბეის გასროლილი ბურთი კი ხელით.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბერნარს მარცხენა ფლანგზე „ხალიჩა დაუფინეს“ და ფრანგმაც თავისუფლად ირბინა, მერე კარის წინ ჩააწოდა და შოლა ამეობიმ ახლოდან საგოლეედ დაჰკრა.

„სოშოს“ ანგარიშში სხვაობის შემცირების ნაღდი შანსი ჰქონდა, მასპინძლებმა პენალტი მოინაგრეს, მაგრამ მატიემ ისე დაარტყა, რომ ბურთმა ფრინველები დააფრთხო. გაცუდებული პენალტიდან თერთმეტ წუთში „კაჭკაჭებმა“ მარჯვენა ფლანგზე კოხტა კომბინაცია გაითამაშეს. ჰიუზის პასით დაიერი მცველებს გაექცა და კრეიგ ბელამის დაუგორა, უელსელმა კი რიშერი მესამედ დაამწუხრა. შეცვლაზე შესულმა როლან რობერმა მატჩის მიწურულს თანამემამულეებს თავი მოხდენილი საჯარიმო დარტყმით და მეოთხე გოლით დაამახსოვრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| სოშო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| პანიონიოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

**IV ტური: 1 დეკემბერი**

პანიონიოსი — დინამო
სპორტინგი — სოშო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პირველი ლიგის 16 ჩემპიონატი პირველი წრე 15 ტური

# ამერმა ბორჯომი ახსნა და გახსნა

გორი. 25 ნოემბერი. 13.30 საათი. ქართლი. 300

**ბორჯომი 0:4 ამერი**

0:1 დავითაშვილი (33), 0:2 სევასტოპულო (60), 0:3 კაიდარაშვილი (64), 0:4 დავითაშვილი (90)

ბორჯომი: ლაბაძე, ბურნაძე, ლეკიშვილი, სუხიაშვილი (მუშკუდიანი 71), ნოზაძე (ხუჭუა 78), წივწივაძე, გვირჯიშვილი, გაბისკირია, კრავეიშვილი, კვეკვესკირი, სეფერთელაძე (ვარდიაშვილი 73)
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, კაიდარაშვილი, გარუჩავა (87), დეკანოსიძე, დავითაშვილი, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 82), ჩხეტიანი (ბერიანიძე 81), ხვადაგიანი, სილაგავა
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: დეკანოსიძე (12), სუხიაშვილი (58), კედელაშვილი (72)

მსაჯები: გ. ასკაროღლი; დ. კურტანიძე, ხ. გაგნიძე; ი. აფციაური



სულიკო დავითაშვილმა ორიც გაიტანა და ჩემპიონატის თანაბომბარდირიც გახდა

**კობა ინასარიძე** გორიდან

გორი, „ქართლის" სტადიონი, უსკამებო ცალი ტრიბუნა, 300-მდე ჩათბილული ქომაგი და... რაც მთავარია, პირველი ლიგის პირველი წრის, იქნებ ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი — წლეულს მომძლავრებული და ცხრილის სათავეში მოკალათებული „ბორჯომი" ორი წლის, ჯერაც „მშვენებარე" „ამერის" წინააღმდეგ.

ბორჯომელებს „ამერი" უახლოესი მდევრის რანგში ესტუმრა, ეთამაშა და შინ სამი ქულით დაბრუნდა, ამდენივე ქულით კი მასპინძლებთან ცხრილში ჩამორჩენა შეამცირა.

0:4 — ნუ გაიკვირვებთ, აბსოლუტურად კანონზომიერი შედეგი, გნებავთ ანგარიში... 0:3 იყო, როცა ფეხბურთის ფედერაციიდან დამირეკეს. მოსაუბრეთ ერთმანეთის ხმა კარგად არ გვესმოდა, ის წუთი იყო, კაიდარაშვილმა მესამე გოლი რომ გაიტანა. მკითხეს, ასეთ ხმაურიან ადგილას სად ხარო. გორში, „ქართლის" სტადიონზე დიდი ამბავია-მეთქი. რამდენიმეწამიანი პაუზა და — არ გვჯერაო. დაიჯერეთ-მეთქი, იყო ჩემი პასუხი. თუმც საბოლოო პასუხამდე ოცდახუთი წუთიც იყო, ამ ოცდახუთ წუთში კი ანგარიში ერთხელაც შეიცვალა.

შეიძლება ითქვას, ამერელთა მეოთხე გოლი კურიოზულიც კი იყო. მატჩი თითქმის დამთავრებული იყო, როცა სტუმართა ორი ფორვარდი — სულიკო დავითაშვილი და რატი წინამძღვრიშვილი ორი მასპინძლის, მეკარე ავთო ლაბაძისა და მცველ დიმიტრი ლეკიშვილის პირისპირ დარჩნენ. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: ბურთი ბორჯომელთა კარის წინ ერთი წუთი მაინც იქით-აქეთ დაგორავდა, დავითაშვილი და წინამძღვრიშვილი ათამაშებდნენ, ლაბაძე და ლეკიშვილი კი ართმევას ლამობდნენ. სხვა ფეხბურთელები მოედნის იქით, „გაღმა" ნახევარზე იყვნენ. ბოლოს რატიმ დაარტყა, მეკარემ კარის ხაზზე მოიგერია, თუმც იქვე იყო დავითაშვილი — ერთი ცრუმოძრაობა, მეორე, ბურთი მოირგო და ასე გაიტანა. პირველი ლიგის ლიდერისთვის უჩვეულოა ასე გაშვებული გოლი.

და საერთოდ, „ბორჯომისთვის" მატჩში ერთბაშად ოთხი გოლის გაშვებაც უჩვეულო იყო.

... მატჩის დაწყებიდან ოცი წუთი მიილია, როცა აშკარად გამოჩნდა, მასპინძლები სტუმრებს ფიზიკური მომზადებით ვერ დაუდგებოდნენ. საწყის წუთებში „ბორჯომი" უპირატესობის მოპოვებას კი ცდილობდა, მაგრამ ეს სტუმრებმა არ დაანებეს და რამდენჯერაც მასპინძლები „ამერის" კარს მიუახლოვდნენ, იმდენჯერ საპასუხო შეტევა მიიღეს. თუმც არ ითქმოდა, რომელიმე კართან რეალური საგოლე მომენტი შეიქმნაო.

პირველი გოლი კი ბორჯომელი მცველების უხეშ შეცდომას მოჰყვა. მასპინძლებმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს სტუმრების ფორვარდი დავითაშვილი უყურადღებოდ დატოვეს, მანაც ისარგებლა ქართლელების დაუდევრობით, ლაბაძეს მარცხნიდან მიუახლოვდა და ახლო კუთხეში დაურტყა. მეკარემ ბურთი თითქოს მოიგერია, მაგრამ...

0:1 „ამერისთვის" უკვე სასურველი ანგარიში იყო, მაგრამ სტუმრები მიღწეულს არ დასჯერდნენ და მეტოქის მწარედ ჩხვლეტას განაგრძობდნენ. სათქმელია, რომ შესვენებამდე „ბორჯომი" სულ ერთხელ დაემუქრა რეზო ნაჭყებიას, თუმც ზვიად კრავეიშვილის დარტყმული მეკარემ უპრობლემოდ მოიგერია.

შესვენების შემდეგ კი თამაში მთლიანად „ამერის" იყო. ერთი მომენტი, ორი და მესამე უკვე სტუმრებმა გოლით დაასრულეს. დავითაშვილის ჩინებულ პასს მარჯვენა ფლანგიდან ასევე ჩინებული გაგრძელება მოუძებნა სილაგავამ, კარისკენ გაქანებული დავით სევასტოპულო დროულად შენიშნა, რომელმაც ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიშიც გააორა. ოთხი წუთიც და ანგარიში ისევ გაიზარდა. ისევ დავითაშვილმა იყოჩაღა, მეურვეთაგან ფლანგზე გათავისუფლებულ ალეკო კაიდარაშვილს დასარტყმელად გადააწოდა და მიზანმა არც მას უმტყუნა, შორეულ კუთხეში მოხდენილად გაიტანა.

მეოთხე გოლზე უკვე ვთქვით, მაგრამ თამაში გაცილებით ადრე იყო დამთავრებული...



დავით სევასტოპულომ გიორგი სილაგავასგან ისეთი პასი მიიღო, არგატანა არ იქნებოდა

**მაღაროელი 0:1 კახეთი**

**რუსთავი 1:2 სპარტაკი**

დღეს

**ცხინვალი — ოლიმპი**

**გურია — ივერია**

**მერანი — ლოკომოტივი 2**

**ვიტ ჯორჯია — დინამო 2**

ხვალ

**საგარეჯო — ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 15 | 12 | 1 | 2 | 42:20 | 37 |
| ამერი | 15 | 11 | 1 | 3 | 45:7 | 34 |
| სპარტაკი | 15 | 9 | 6 | 0 | 29:15 | 33 |
| კახეთი | 15 | 10 | 1 | 4 | 27:20 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 |
| დინამო 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 37:22 | 25 |
| ივერია | 14 | 5 | 5 | 4 | 14:15 | 20 |
| ცხინვალი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:20 | 18 |
| ჩიხურა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:18 | 17 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 4 | 4 | 6 | 18:21 | 16 |
| გურია | 13 | 4 | 3 | 6 | 12:20 | 15 |
| მილანი-მერანი | 13 | 4 | 1 | 8 | 18:25 | 13 |
| ოლიმპი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | 12 |
| რუსთავი | 15 | 3 | 1 | 11 | 16:31 | 10 |
| საგარეჯო | 14 | 1 | 4 | 9 | 13:38 | 7 |
| მაღაროელი | 15 | 0 | 3 | 12 | 7:45 | 3 |

# ყვირილა ტრანსფერი: ზესტაფიონა



*გადაწყდა — საქართველოს 2002-03 წლების ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი ზურაბ იონანიძე „ზესტაფონში" ითამაშებს. მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და ახლა ერთადერთი პრობლემა ახალწვეულის განაცხადში შეყვანაა, თუმც ზესტაფონელები ამის მოგვარებას წრეებს შორის ზამთრის შესვენებისას აპირებენ.*

*ფაქტი კი ასეთია — „ზესტაფონს" მნიშვნელოვანი ძალა შემატა და უკვე სამარჩიელო აღარ ჩანს, შეინარჩუნებს თუ არა გუნდი ადგილს უმაღლეს ლიგაში...*

— თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. განაცხადში შემიყვანენ და ოფიციალურად გავხდები „ზესტაფონის" ფეხბურთელი — გვითხრა გუშინ ზურაბ იონანიძემ.

— ესე იგი, შეთანხმება შედგა?

— ყველაფერზე მოვილაპარაკეთ.

— რამდენი ხნით აპირებ „ზესტაფონში" თამაშს?

— ამაზე შეთანხმებაც არ გაგვიჭირდება.

— სეზონის ბოლომდე რჩები თუ მეტხანს?

— ალბათ, უფრო მეტხანს. აბა, ნახევარი სეზონი კი გავიდა და, მგონი, მომავალ ჩემპიონატსაც „ზესტაფონში" შევხვდები.

**ქახა შალამბერიძე**

# სიონში ფული გაქრა და გამოჩნდა

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, მეთექვსმეტე ტურში ბოლნისის „სიონმა" ისეთი ფეხბურთელები ჩაიყვანა ქუთაისში, რომელთა გვარ-სახელები ყველასთვის უცნობი იყო. „ტორპედომაც" 5:0 მოუგო ასეთ „სიონს" და კულუარებში ბოლნისურ კლუბზე ნაირგვარი ხმები აგორდა. ჩვენ კი კლუბის პრეზიდენტს შოთა რეხვიაშვილს დავუკავშირდით.

— მართალია, რომ „სიონის" ანგარიშზე თანხა კი გადმოირიცხა, მაგრამ ის გაქრა?

— არა, ასეთი რამ არ მომხდარა.

— მაშინ რა მოხდა, რატომ ესტუმრა „სიონი" ასეთი შემადგენლობით „ტორპედოს"?

— ხელფასები დავუგვიანეთ ფეხბურთელებს, მაგრამ ფული ახლა უკვე გავეცით. ქუთაისში ასეთი შემადგენლობით ჩასვლის ძირითადი მიზეზიც ეს იყო. ისიცაა, რომ „სიონის" ზოგიერთ ფეხბურთელს სატრანსფერო თანხა ბოლომდე არ ჰქონდა აღებული.

**დავით თავართქილაძე**

# ლატვიელებმა რუსი და ქართველი გამოიკითხეს

## მენთეშაშვილი ვიცე-საუკეთესოა

**ლატვიის** ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, „სკონტოს" გამარჯვებით დასრულდა და ახლა იქაური ჟურნალისტები თუ სპეციალისტები სეზონის ლაურეატებს არკვევენ.

გუშინ კი ცნობილი გახდა 2004 წლის ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა — ალექსანდრ კატასონოვი — ვერცხლის პრიზიორ „მეტალურგსის" თავდამსხმელი უკონკურენტო იყო.

ამ ტიტულის პატრონს ლატვიის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდების მთავარი მწვრთნელების გამოკითხვით ადგენენ და საინტერესოა, რომ კატასონოვს რვავე გუნდის თავკაცმა პირველი ადგილი არგუნა.

ლიეპაიელთა რუსმა ფორვარდმა მთელი 25 ქულით აჯობა „სკონტოს" ქართველ გამთამაშებელ ზურაბ მენთეშაშვილს. ჩვენებური საუკეთესო ხეთეულში „სკონტოს", „მეტალურგსის", „იურმალას" და „დიტონის" მწვრთნელებმა დაასახელეს. საბოლოოდ ზურა 15 ქულით მეორე ადგილზე გავიდა.

სულ მწვრთნელებმა 5 კლუბის 19 ფეხბურთელი დაასახელეს, ამათგან 11 ლეგიონერი. მათ შორის იყო ვენტსპილსელი ალექსანდრე რეხვიაშვილიც, რომელსაც მხოლოდ „ვენტსპილსისვე" თავკაცმა საულიუს შირმიალისმა მისცა ხმა.

**ქახა შალამბერიძე**







# ივარჯიშე, ალექს!
## ვიერის ბრემენში ვიერი მოეწონა

**ალესანდრო დელ პიერომ** უკვე ივარჯიშა, მაგრამ კვირას „სან სიროზე“, „ინტერის“ წინააღმდეგ მისი თამაში მოსალოდნელი არ არის. „იუვენტუსის“ მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ კაპიტანზე თქვა, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობას არ მიაღებინებს და იგიც „ჩისპორტ ცენტრში“ გუნდისგან დამოუკიდებელ მსუბუქ ვარჯიშზე გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ დელ პიეროს ლეჩეში, თავსხმის ქვეშ თამაშის დროს კუნთი გაეჭიმა, რის გამოც „ინტერთან“ მისი თამაში რისკზე წასვლას ნიშნავს.

მიუხედავად „ბებერი ქალბატონის“ ქომაგთათვის ამ სამწუხარო ამბისა, არის დადებითი ცნობებიც. კერძოდ, მოედანს უბრუნდებიან ჯანლუკა პესოტო და ჯონათან ძებინა, რომელთაც თანაგუნდელებთან ერთად საწვრთნელი ხანმოკლე შეხვედრაში უკვე მიიღეს მონაწილეობა და კაპელოს სრულ განკარგულებაში არიან. ამ ორიდან ერთი, ფრანგი ძებინა, რომელიც „რომასთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში დაშავდა, სავარაუდოდ, კვირას „სან სიროზე“ იქნება, ხოლო „იუვეს“ თავდასხმაში ზლატან იბრაჰიმოვიჩის გვერდით მარსელო ზალაიეტა ითამაშებს.

ამასობაში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ დიდი რიხით სათამაშოდ ემზადება ტურინელთა ოდინდელი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი.

„თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ტრავმის შემდეგ მეგონა, რომ დანარჩენ ფეხბურთელებს მომზადებაში გაცილებით ჩამოვრჩებოდი, მაგრამ ბრემენში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის დროს დავრწმუნდი, რომ ასე არაა და დღეს, სრულიად კმაყოფილი, მწვრთნელის განკარგულებაში ვარ“ — განაცხადა „შავ-ლურჯების“ ოცდამეთორმეტე ნომერმა და დასძინა:

„ბრემენში თამაში „იუვენტუსის“ წინ ძალიან კარგი ტესტი გახლდათ. მზად ვარ თუ არა? იცით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ასეა თუ ისე, კვირას ვალდებულნი ვართ კარგად ვითამაშოთ და ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც იქნება, რადგან გამარჯვების ძალიან დიდი სურვილი გვაქვს. მოკლედ, მათამაშებენ თუ არა, დიდი მატჩია მოსალოდნელი“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ჰარი წავა და სხვა მოვა...
## მანდარიჩის სიაში სტრაჩანი პირველობს

*ჰარი რედნაპის წასვლის შემდეგ „პორტსმუთმა“ გაჩქარებით დაიწყო ახალი მენეჯერის ძებნა. ორი ყველაზე განთქმული სახელი სიას სათავეში უდგას: გლენ ჰოდლი და გორდონ სტრაჩანი, მათ მოსდევენ „ვულვზიდან“ დათხოვნილი დეივ ჯონსი და „ლესტერის“ ყოფილი თავკაცი მიკი ადამსი, სიაშია ჟერარ ულიეც*

**ლონდონი**, ბევრისთვის გასაოცრად ლიდერობს გორდონ სტრაჩანი, რომელიც ცხრა თვის წინათ გადადგა „პორტსმუთის“ სამხრეთელი მეზობლისა და საუკუნო მეტოქის, „საუთჰემპტონის“ მენეჯერობიდან.

პორტსმუთელთა პრეზიდენტ მილან მანდარიჩს სწორედ სტრაჩანი ნდომებია მწვრთნელად, თუმცა, რახანია ფეხბურთელთათვის ძვირფასი კაცი, რედნაპი, ფაქტობრივად, ძალით გაუშვეს გუნდიდან, მანდარიჩს მოთამაშეთა ჩაშომშინებაც მოუწევს. ასევე ფანებისაც, რადგან პორტსმუთში ძალიან სძულთ „საუთჰემპტონი“ და სტრაჩანიც და ჰოდლიც ხომ „წმინდათა“ მენეჯერად არიან ნამუშევარნი.

ამბობენ, რედნაპი იმიტომ გადადგა, რომ მანდარიჩმა დირექტორად ველიმირ ზაჩი მიიყვანაო. თავად რედნაპმა ეს უარყო და თავის მარჯვენა ხელ, ჯიმ სმიტთან ერთად დატოვა გუნდი, რამაც ფეხბურთელები ძალიან დაამწუხრა.

დევიდ ანსუორთმა თქვა: „მე არ ვიცი, მეტი რა უნდა გაეკეთებინა ჰარის და ჯიმის ამ კლუბისთვის, მე ბიჭებს ველაპარაკე და ძალიან გვწყინს ეს ამბავი“.

რედნაპს და სმიტს კი ახლა ალბათ უმწვრთნელო „ვულვზში“ მიიწვევენ. ამ კლუბის უფროსობა ამბავს არ ახმიანებს, თუმც ჰარიმ თქვა, რამდენიმე კლუბიდან დამიკავშირდნენო.

**ირაკლი გამყრელიძე**



მილან მანდარიჩი ჰარი რედნაპის შემცვლელს ეძებს

# ნეკი ნეკისა
## ბუტმა რეალს თითი არ მისცა

„რეალს მთელი მატჩი აგრესიულად ვეთამაშეთ, ბერბატოვის გოლით 1:0 ვუგებდით, მაგრამ მერე ჯერ რაულმა გაგვიტანა, მე-80 წუთზე კი მასპინძლებმა პენალტის დარტყმის უფლება მიიღეს“ — ჰყვება ლევერკუზენის „ბაიერის“ 30 წლის მეკარე იორგ ბუტი, რომელმაც — ეგებ თქვენც გახსოვთ — ამ სამშაბათის საჩემპიონთალიგო მატჩში ხსენებული პენალტი ლუიშ ფიგუს მარცხენა ხელის ნეკა თითით გაუცუდა.

„ზიდანი მთელი მატჩი იმას ჩალიჩობდა, ჟუანი საპენალტოდ წამოეკიდებინა. ბოლო-ბოლო, წამოიკიდა კიდეც — აგრძელებს ბუტი — ფიგუმ საშუალო სიმაღლეზე დაარტყა, მე თითქმის დაცემული ვიყავი, თუმცა მარცხენა ხელის ნეკა თითი მაინც წავკარი, უფრო სწორად, ნეკის ნახევარი, რაკილა ეს თითი ჯერ კიდევ ჰამბურგში ყოფნისას დავიზიანე და მას მერე მოკაკვული მაქვს.“

ამ მოკაკვულმა თითმა „ბაიერს“ მერვედფინალში გასვლის შანსები დაუნარჩუნა — საამისოდ ლევერკუზენელებს ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში შინ კიევის „დინამოსთან“ რაგინდარა ანგარიშით მოგებაც ჰყოფნით.

ისე, ბუტმა ბოლო ოთხი პენალტიდან უკვე სამის მოგერიება შეძლო. არ ვიცით, როგორ მოახერხა ეს წინა ორ შემთხვევაში, მაგრამ ფიგუზე ამბობს, თან გაჩხიბე კიდეცო: „როცა ბურთს ვაძლევდი, თვალი თვალში გავუყარე, ვგონებ, ამანაც იმოქმედა. ისე, მისი პენალტები მინახავს და ვიცოდი, რომ სანამ არ დაარტყამდა, არ უნდა გავნძრეულიყავი. ყველაფერმა ამან საბოლოოდ გაჭრა კიდეც.“

**ლევან ძელაურაძე**



## ინგლისი

### ჩემპიონატი
### გადადებული მატჩი

**ლიდსი 2:2 უოტფორდი**

0:1 ბ. დაიერი (9), 1:1 ჯ. რაიტი (21), 1:2 ბ. დაიერი (71), 2:2 კარლაილი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 20 | 11 | 7 | 2 | 35:14 | 40 |
| იფსვიჩი | 20 | 11 | 6 | 3 | 39:23 | 39 |
| სანდერლენდი | 20 | 11 | 4 | 5 | 28:15 | 37 |
| რედინგი | 20 | 11 | 4 | 5 | 28:17 | 37 |
| ქუინზ პარკი | 20 | 10 | 3 | 7 | 30:29 | 33 |
| ვესტ ჰემი | 20 | 9 | 4 | 7 | 23:22 | 31 |
| შეფილდი | 20 | 8 | 7 | 5 | 23:24 | 31 |
| დერბი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:25 | 29 |
| მილუოლი | 18 | 8 | 5 | 5 | 18:15 | 29 |
| უოტფორდი | 20 | 6 | 10 | 4 | 26:20 | 28 |
| სტოკი | 20 | 7 | 7 | 6 | 15:16 | 28 |
| ბარნლი | 20 | 6 | 9 | 5 | 17:18 | 27 |
| პლიმუთი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:26 | 26 |
| პრესტონი | 20 | 7 | 5 | 8 | 25:28 | 26 |
| ლიდსი | 20 | 6 | 7 | 7 | 24:20 | 25 |
| ლესტერი | 20 | 5 | 10 | 5 | 22:19 | 25 |
| ქოვენთრი | 20 | 6 | 7 | 7 | 26:32 | 25 |
| ვულვზი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:25 | 23 |
| ქრიუ | 19 | 6 | 4 | 9 | 34:39 | 22 |
| ბრაიტონი | 20 | 6 | 4 | 10 | 16:28 | 22 |
| კარდიფი | 20 | 4 | 7 | 9 | 21:27 | 19 |
| ნოტინგემი | 20 | 3 | 8 | 9 | 19:28 | 17 |
| ჯილინგემი | 20 | 4 | 3 | 13 | 16:36 | 15 |
| როტერჰემი | 20 | 0 | 8 | 12 | 12:29 | 8 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა
### გადადებული მატჩი

**ესენი 0:0 მიუნხენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 14 | 10 | 2 | 2 | 26:15 | 32 |
| დუისბურგი | 14 | 9 | 2 | 3 | 20:12 | 29 |
| ფიურტი | 14 | 8 | 3 | 3 | 17:9 | 27 |
| ალემანია | 14 | 7 | 4 | 3 | 28:13 | 25 |
| მიუნხენი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:19 | 20 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:16 | 19 |
| ალენი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:14 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:16 | 18 |
| აინტრახტი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:26 | 18 |
| ტრირი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:19 | 18 |
| აუე | 14 | 5 | 2 | 7 | 18:17 | 17 |
| კარლსრუე | 14 | 4 | 5 | 5 | 16:18 | 17 |
| უნტერჰახინგი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:21 | 16 |
| კოტბუსი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:16 | 16 |
| დინამო | 14 | 4 | 2 | 8 | 16:25 | 14 |
| ერფურტი | 14 | 3 | 5 | 6 | 7:18 | 14 |
| ესენი | 14 | 2 | 7 | 5 | 19:25 | 13 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | 12 |

## მექსიკა

### აპერტურა
### 1/4 ფინალი. I მატჩები

უნამი 3:0 ვერაკრუსი

ატლანტე 4:2 ტოლუკა

## კოპა სუდამერიკანა 2004

### ნახევარფინალი. I მატჩი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 4:2 ინტერნასიონალი (ბრაზილია)

0:1 სობისი (46), 1:1 ტრავერსო (54), 2:1 კანია (59), 3:1 პალერმო (66), 4:1 ნ. კარდოზო (69), 4:2 დიეგუ (83)

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## E ჯგუფი



პსვ ეინდჰოვენი — არსენალი. გერმანელმა არბიტრმა პატრიკ ვიეირას წითელ-ყვითელი ბარათები უფრიალა

# ვენგერმა ხაზზე დახაზა
## ვიეირამ წითელი თუმნიანი მიიღო

**პსვ ეინდჰოვენი 1:1 არსენალი**

1:0 ოიერი (8), 1:1 ანრი (31)

**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი (ბეასლი 65), კოკუ, პარკი, სიბონი, ფარფანი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, ტურე, კემპბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ვიეირა, პირესი (ჰოიტი 69), ანრი, რეიესი (ვან პერსი 63; ფლამინი 81)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვიეირა (33), ოიერი (42), ლორენი (48), ლორენი (65), ვიეირა (78), ლიუნგბერგი (90)

გაძევება: ლორენი (65), ვიეირა (78)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

35 100 მაყურებელი

ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელისა თუ ფეხბურთელების გაძევება არცთუ იშვიათი ამბავია და არსენ ვენგერმა ნამატჩევს განაცხადა: „არა მგონია, ორი მოთამაშის გაძევება უდისციპლინობის ბრალი იყოს. მიზეზი გუნდებს შორის მძაფრ და უკომპრომისო ბრძოლაში უნდა ვეძიოთ. მსაჯის განაჩენს ვერ გავასაჩივრებთ, ლორენმა იუხეშა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ვიეირამ ბურთზე ითამაშა და ამ ეპიზოდში ფანდელი შეცდა"

გუს ჰიდინკი არსენ ვენგერის საქციელით აღშფოთდა, რადგან ფრანგი მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის კიდესთან იდგა და მსაჯებს მასპინძელ ფეხბურთელთა უხეშობაზე მიუთითებდა. „ნორმალურია, როცა მწვრთნელი ხანდახან მოედნის კიდესთან გამოდის, მაგრამ ვენგერმა თითქმის მთელი 90 წუთი გვერდით ხაზთან გაატარა, თავის მოთამაშეებს აგულიანებდა, მეოთხე მსაჯს კი გამუდმებით ეკამათებოდა. სწორედ მისმა საქციელმა განაპირობა კიდეც ლორენისა და ვიეირას გაძევება" — აღნიშნა ჰიდინკმა, რომლის გუნდმაც ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ტურით ადრე მერვედფინალის საგზური გაინაღდა.

პსვ-ს ფეხბურთელებს რვაკაცა „არსენალთან" მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ეგებ „მეთოფეები" ჯგუფშიც ჩარჩენილიყვნენ, მაგრამ თამაშის მიწურულს რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

არსენ ვენგერის „არსენალში" მისვლის დღიდან ვიეირა მეათედ (!) გააძევეს, ხოლო ლონდონელთა მიერ ყველა ტურნირში მოგროვებული წითელი ბარათების საერთო რაოდენობა 56-ს გაუტოლდა.

**რუსენბორგი 2:2 პანათინაიკოსი**

0:1 კონსტანტინუ (16), 1:1 ჰელსტადი (68), 1:2 სკაჩელი (71), 2:2 ჰელსტადი (76)

**რუსენბორგი:** ე. იონსენი, სტენსაასი, ჰანსენი, დორსინი, ჰოფტუნი, სტრანდი, სოლი, ფ. იონსენი, სტორფლორი (ჰელსტადი 56), ბრატბაკი, ბრაატენი (ჯორჯი 88)

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

**პანათინაიკოსი:** ხალკიასი, კოციოსი, ჰენრიკსენი, კირიაკოსი (საპანისი 82), ვინტრა, კონსტანტინიდისი (ოლისადებე 87), ე. გონსალესი, ს. მარიჩი (მიტუ 76), ბასინასი, სკაჩელი, კონსტანტინუ

მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი

გაფრთხილება: მარიჩი (36), ვინტრა (78), ბასინასი (79), ბრატბაკი (85)

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

15 000 მაყურებელი

შეცვლაზე შესული ტორტენ ჰელსტადის წყვილი გოლის წყალობით „რუსენბორგმა" „პანათინაიკოსს" ქულა გამოგლიჯა, მაგრამ ბოლო ადგილზე დარჩა და უეფას თასზე თამაშს ვერ შეძლებს. „პანათინაიკოსი" ბოლო ტურში პსვ-ს უმასპინძლებს, „არსენალი" კი — „რუსენბორგს". ბერძენთა მწვრთნელმა ზდენეკ შჩასნიმ ამიტომაც თქვა ნამატჩევს: „მერვედფინალში ჩვენი გასვლა საეჭვოა, რადგან მეორე შეხვედრის შედეგზე ვართ დამოკიდებულები. ჩვენმა ფეხბურთელებმა [illegible] ნზე თავი არ დაზოგეს და [illegible] კიდეც, თუმც მეტოქეს ორი გოლი იოლად გავატანინეთ".

სტუმართა არგენტინელმა ლეგიონერმა ეზეკიელ გონსალესმა კონსტანტინუს ბურთი საჯარიმოში წაუმძღვარა, ბერძენმა კი ცაციით იონსენს დაბალ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში სტორფლორის ნაცვლად ჰელსტადი შევიდა და თორმეტ წუთში მოხდენილი დარტყმით გაათანაბრა. სტენსაასმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ახალშესული კი ახლო ძელთან ჩაუსაფრდა ბურთს და ერთი შეხებით ხალკიასის კარში ააფართხალა.

მასპინძელთა სიხარული სამ წუთს გაგრძელდა, რადგან მეკარე იონსენის შეცდომის შედეგად „პანათინაიკოსი" კვლავ დაწინაურდა. იონსენმა საჯარიმოში ბურთი მუშტებით მოიგერია, მაგრამ თანაგუნდელს ზურგში მოარტყა, სკაჩელმა ამით ისარგებლა და ცარიელ კარში გაიტანა.

„რუსენბორგი", ჩემპიონთა ლიგაში უკვე ზედიზედ 12 მატჩი რომ არ მოუგია, მარცხისგან ჰელსტადმა იხსნა. ფორვარდმა თავისივე დარტყმულ და ხალკიასის მოგერიებულ ბურთს მიუსწრო — 2:2. დუბლის ავტორს ჰეთ თრიქის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ შეხვედრის მიწურულს ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:8 | 2 |

VI ტური: 7 დეკემბერი

**პანათინაიკოსი — პსვ ეინდჰოვენი**

**არსენალი — რუსენბორგი**

## F ჯგუფი

# რა ითამაშა სელტიკმა?
## მილანი მეორე ტაიმში აჭაჭანდა

**მილანი 4:0 შახტარი**

1:0 კაკა (52), 2:0, 3:0 კრესპო (53, 85), 4:0 კაკა (90)

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (ბროკი 84), პირლო (ამბროზინი 71), ზეედორფი, კაკა, რუი კოშტა (დორასო 79), კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

**შახტარი:** ლაშტუვკა, სტოიკანი, ჰუბშმანი, ლევანდოვსკი, სრნა, ბატისტა (ვორობეი 63), დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (პუკანიჩი 82), ბრანდაო, აგაჰოვა (მარიკა 63)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ნესტა (3), სრნა (4), გატუზო (69)

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

38 841 მაყურებელი

„ერნან კრესპო დაბრუნდა", „კაკამ შარშანდელი გაიხსენა", „მილანს" თურმე შევჩენკოს გარეშეც შეძლებია მოგება" — ამგვარმა სათაურებმა წალეკა გუშინდელი იტალიური პრესა.

კარლო ანჩელოტის გუნდმა „შახტარს" რომ გადაუარა, აპენინურ მედიას ათქმევინა, „მილანმა" მეტოქეს კლასით აჯობაო, არადა...

„უჩვეულო ფეხბურთი იყო. ასეთი დამამცირებელი შედეგი ნაღდად არ გვეკუთვნოდა. პირველ ტაიმში ორი თუ არა, ერთი მაინც უნდა გაგვეტანა" — თქვა ნამატჩევს დონეცკელთა რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ „სან სიროში" გასახდელში მიმავალი „შავ-წითლები" გამაყრუებელი სტვენით გააცილა, რასაც ნამდვილად არ ელოდნენ მასპინძლები.

ვთქვით არ ელოდნენო, მაგრამ მერე ალბათ გაახსენდათ, რომ ფეხბურთი უპირველესად გულშემატკივრისთვისაა.

არ ელოდნენ და ამოქმედდნენ: მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ რაღაც რვა წუთში ტაბლოზე უკვე 2:0 ენთო. ჯერ კაკამ შეაგდო თავით, წუთში კი შეცვლაზე შესულმა ვიკაშ დორასომ უზუსტესი პასით კრესპო შეატოვა ლაშტუვკას პირისპირ.

საერთოდაც უნდა ითქვას, რიკარდუ იზეკსონ სანტუშ ლეიტემ გუშინწინ „დაგლიჯა", კრესპოს მეორე გოლიც მან „გაატანინა", ხოლო მეოთხის აღწერას აზრი არა აქვს, ეგ უნდა ნახო.

ბუნებრივია, მატჩის საუკეთესოდაც კაკა აღიარეს. მაგრამ ჟურნალისტებმა მიზანში არგენტინელი კრესპო ამოიღეს. მან ზედიზედ მეორე მატჩში შეაგდო (პირველი იტალიის თასზე, „პალერმოსთან") და ახლა უკვე სამი მილანური გოლი მოუგროვდა: „ძალიან ბედნიერი ვარ, თავდამსხმელის უმთავრესი მოვალეობა გოლების გატანაა და ეს გოლებიც რწმენას მმატებს" — თქვა კრესპომ.

**ბარსელონა 1:1 სელტიკი**

1:0 ეტოო (24), 1:1 ჰარტსონი (45)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო (ვან ბრონკჰორსტი 46), დეკო, ჩავი, მარკესი, ჟიული (ინიესტა 60), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**სელტიკი:** ჰედმანი, აგატი, ბალდე, ვალგაერენი, ვარგა (ა. კამარა 66), მაკნამარა, ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი (უოლესი 87), ჰარტსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ლენონი (10), მარკესი (37)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

60 000 მაყურებელი

„ეს ანტიფეხბურთია. არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი, ასეთი გუნდები ჩემპიონთა ლიგაში არ უნდა თამაშობდნენ" — გაცეცხლებული იყო თამაშის შემდეგ „ბარსელონას" ჰოლანდიელი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი. მისმა გუნდმა ხომ საშინაო მატჩში 2 ქულა დაკარგა და ჯგუფის ლიდერობაც „მილანს" გადაულოცა.

მწვრთნელს დაეთანხმა „ბარსას" მეგოლე და აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი სამუელ ეტოოც, თუმც კამერუნელი უფრო იმას მოსტირის, მერვედფინალში გავედით, მაგრამ ამ ჯგუფში საუკეთესო ჩვენ ვართ და მეორე ადგილზე ყოფნა უსამართლობააო.



ბარსელონა — სელტიკი. სამუელ ეტოომ დეკოს პასი შეირგო და გაიტანა

„შესაძლოა, ჩვეულად ვერ ვითამაშეთ — განაგრძობს რაიკარდი — მაგრამ, მერწმუნეთ, მოსაგებად არაფერი დაგვიშურებია".

„კამპ ნოუმ" 24-ე წუთზე გაიხარა, როცა ეტოომ დეკოს უბადლო პასს ჭვინტი ჰკრა და კარიდან გამოვარდნილი მაგნუს ჰედმანიც უსაქმოდ დატოვა. „ბარსას" უამრავი მომენტი მერეც ჰქონდა, მაგრამ რაღ გინდა, როცა გუნდი 11 კაცით თავის საჯარიმოშია, გოლის გატანა ძნელია.

„სელტიკმა" ჯარიმის შემდეგ გაათანაბრა, ერთადერთხელ გადავიდნენ გლაზგოელები მეტოქის ნახევარზე და კრის სატონმაც პუიოლთან ჭაჭგურში „საგოლე" ჯარიმა მოინაგრა — სტილიან პეტროვმა ჩააწოდა, კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ჯონ ჰარტსონმა კი მშვიდად გაიტანა.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| სელტიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |

VI ტური: 7 დეკემბერი

**შახტარი — ბარსელონა**

**სელტიკი — მილანი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## G ჯგუფი

# რანიერიმ ბელგიას იტალიელები შეუსია


REUTERS ბრიუსელიდან

მარკო დი ვაიომ ვალენსიელების გამარჯვებისა გაიტანა

**ანდერლეხტი 1:2 ვალენსია**

0:1 კორადი (19), 1:1 ვილჰელმსონი (24), 1:2 დი ვაიო (48)

*ზეტერბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)*

ანდერლეხტი: ზიტკა, ჟევლაკოვი, დე ბუკი (მპენზა 72), კომპანი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ვანდერეგე, ზეტერბერგი, ბასეჯიო, დინდანე, იაჩუკი

მწვრთნელი: უგო ბროოსი

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, დ. ნავარო, მორეტი, სისოკო, ბარახა, რუფეტე (ფიორე 71), დი ვაიო (მისტა 87), ხისკო (კარბონი 82), კორადი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: კორადი (34)

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

ტრავმებისკვალიფიკაციებით გაწამებულმა „ვალენსიამ" ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა „ლამურებმა" ბრიუსელში 2:1 სძლიეს „ანდერლეხტს", რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ერთადერთია, ქულაც რომ არ ღირსებია. ესპანეთის ჩემპიონებს მარტივად ასახსნელი, მაგრამ რთულად შესასრულებელი ამოცანა კი დარჩათ — 7 დეკემბერს შინაურ „მესტალიაზე" ბრემენის „ვერდერს" უნდა აჯობონ.

უგო ბროოსის „ანდერლეხტს" განახევრებული „ვალენსიაც" ეყო. აიალას, ვისენტეს, ალბელდას, ანგულოსა და მარჩენას არყოფნაში იტალიურმა თავდამსხმის დუეტმა გაიბრწყინა — კლაუდიო რანიერი მისსავე თვისტომებმა, ბერნარდო კორადიმ და მარკო დი ვაიომ გაახარეს. კურო ტორესის ფლანგურ პასს კორადიმ დიდებული ქუსლური მიაყოლა და ანგარიშიც ასე გაიხსნა, თუმც ხუთ წუთში სტუმართა პორტუგალიელმა მცველმა მარკო კანეირამ თავის საჯარიმოში არუნა დინდანე ჰოკეის ილეთით დასცა — სანტიაგო კანისარესმა შვედი ზეტერბერგის პენალტი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე იმ დღეს საუცხოოდ მოთამაშე მეორე შვედმა, ვილჰელმსონმა ივარგა — 1:1.

„ანდერლეხტი" შინ ყოველთვის აგრესიულ შეტევებს მიმართავს, ჩვენ კი ცენტრში ჭკვიანური თამაში, პრესინგი და კონტრშეტევები უნდა ავირჩიოთ" — რანიერიმ მატჩამდე ნათქვამი ზუთიანზე აასრულა, რადგან დი ვაიოს გამარჯვების გოლი სწორედ ასეთი ყაიდისა იყო: იტალიელმა შეტევაში გართულ ბელგიელებს ყუმბარისებური გოლით აუწია ყური. რანიერიმ მატჩამდე კიდევ ერთ ჩვეულ ხერხს მიმართა, სათადარიგო სკამზე მსხდომ შეგირდებს მობილური ტელეფონი გამოართვევინა, რათა „ვერდერი" — „ინტერის" ანგარიში არ გაეგოთ და გუნდი არ მოდუნებულიყო. ბრემენულმა 1:1-მა კი სწორედ ვალენსიელებისთვის გაისროლა...

„ერთი შეხედვით თეორიული შანსი პრაქტიკულად ვაქციეთ. ბოლო მატჩებში აშკარად მოვუმატეთ და შედეგად ზედიზედ მეორე გასვლით მატჩი მოვიგეთ. ვიცით, რომ „ვერდერთან" ფავორიტები ვიქნებით, მაგრამ ამან წუთითაც არ უნდა მოგვადუნოს" — თქვა ნამატჩევს „ვალენსიას" თავკაცმა.

ერთი კია, „ლამურები" „ვერდერს" მოლონიერებული შემადგენლობით დაუხვდებიან. მიგელ ანხელ ანგულომ დისკვალიფიკაცია მოიხადა, ბრაზილიელმა მცველმა ფაბიო აურელიომ ექვსთვიანი ლაზარეთი მოილია. ალბათ მანამდე არგენტინელი დაცვის ლიდერი რობერტო ფაბიან აიალაც გამოჯანმრთელდება.

**ვერდერი 1:1 ინტერი**

1:0 ისმაელი (49), 1:1 მარტინსი (55)

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ბაუმანი, ისმაელი, სტალტერი (ხარისტიასი 83), ერნსტი, ბოროვსკი (იენსენი 67), მიკუ, მანინი, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 46)

მწვრთნელი: თომას შააფი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვან დერ მეიდე, დავიდსი (კ. ძანეტი 81), კამბიასო, სტანკოვიჩი (კარაგუნისი 65), ვიერი, ხ. კრუზი (მარტინსი 52)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კორდობა (43), კრუზი (48), კამბიასო (51), ბაუმანი (71)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

37 000 მაყურებელი

რობერტო მანჩინის „ინტერს" მერვედფინალი დაბევებული ჰქონდა, მაგრამ ჯგუფში პირველადგილოსნობა უნდა და ამიტომაც შეაკლა თავი „ვერდერს". ფრე გამოსტყუა და ამით „ვალენსიაც" დაასაჩუქრა. „შავ-ლურჯებს" მთავარმეგოლე ადრიანო აკლდათ და მის არყოფნაში მანჩინიმ „შუბის წვერად" ვერახულიო კრუზი [illegible] და ვერც არგენტინელმა ბრემენელთა მეკარე რაინკეს ბუზი ვერ აუფრინეს. მერე რა, ობაფემი მარტინსი სათადარიგო სკამზე არ იყო?

შეცვლაზე სამი წუთის შესულმა ნიგერიელმა, დეიან სტანკოვიჩის ხარიხასგარტყმულ ბურთს თავით დაამატა და ანგარიში გაათანაბრა. იქამდე კი „ვერდერმა" პენალტით გაიტანა: ხულიო კრუზმა საკუთარ საჯარიმოში „სცემა" მიროსლავ კლოზე და ტიმ ბოროვსკი, მსაჯმაც 11-მეტრიანისკენ მიუთითა და მასპინძელთა ფრანგმა მცველმა ვალერიან ისმაელმა ზუსტად დაარტყა. მთლიანობაში „მუსიკოსებს" ტემპი არ შეუჩერებიათ, იოან მიკუ და ფაბიენ ერნსტი კლოზეს პასებს არ აკლებდნენ, მაგრამ ასპროცენტიან საგოლე შანსამდე საქმე არ მისულა. სტუმართა მხრიდან კი იმავე მარტინსმა ბოლო წუთებზე ლამის მთელი „ვერდერის" დაცვა გააბითურა და ხეირიანად რომ დაერტყა, „ინტერი" გუშინწინვე გაიფორმებდა პირველ ადგილს. თუმც მანჩინის გუნდს ეს საქმე არ გაუჭირდება — ბოლო ტურში „ანდერლეხტს" „სან სიროზე" მიიღებს და...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:14 | 0 |

VI ტური: 7 დეკემბერი

ვალენსია — ვერდერი

ინტერი — ანდერლეხტი

## H ჯგუფი

# მახსოვს პირველად ბარსელონაში

**ცსკა 0:1 პორტუ**

0:1 მაკკარტი (28)

*იგნაშევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (35, აცილა)*

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, კრაშიჩი (რ. გუსევი 69), სემაკი, ალდონინი, ჟირკოვი, რახიმიჩი, იაროშიკი (ო. ფერეირა 67), ვაგნერი

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

პორტუ: ნუნუ, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, კვარესმა (პეიშოტო 58), კოშტინია, მანიშე, ბოსინგვა, მაკკარტი (უგო ალმეიდა 77), დერლეი სილვა (ჰეპე 90)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ალდონინი (65), ვაგნერი (90), უგო ალმეიდა (90)

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

20 000 მაყურებელი

„პარი სენ ჟერმენმა" ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე" მეტისმეტად მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა, „ჩელსისთვის" კი ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ჟოზე მაურინიუს გუნდმა წინა, მე-4 ტურში დაიბევა ადგილი შეჯიბრების მეორე ეტაპზე. არადა, თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე დიდიე დროგბამ კინაღამ ლონდონელთა სამი ქულა გამოჭედა. აღსანიშნავია, რომ დროგბა ტრავმის გამო შვიდი კვირის განმავლობაში არ თამაშობდა და მხოლოდ ახლა, ოთხშაბათს დაუბრუნდა მოედანს. ის და ეიდურ გუდიონსენი მაურინიუმ მოედანზე მატჩის დამთავრებამდე 28 წუთით ადრე, ერთად შეიყვანა და სწორედ გუდიონსენის პასით შეეძლო ყოფილ მარსელელს სამი ქულის ლონდონში დატოვება, მაგრამ ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში მასპინძელთა ტრადიციული ძირითადი შემადგენლობიდან ისვენებდნენ მეკარე პეტრ ჩეხი, პაულუ ფერეირა და კლოდ მაკელელე. გუდიონსენზე გითხარით, რომ ბოლო ნახევარი საათით აბურთავეს, ხოლო დემიენ დაფმა მეორე ტაიმი ითამაშა.

მატჩის შემდეგ მაურინიუმ განაცხადა: „ფრე არც დამარცხებაა და არც გამარჯვება. ერთი სიტყვით, ჩვენ არც ცუდად ვითამაშეთ და არც კარგად, ეს გახლდათ უმარილო და უპილპილო შეხვედრა. მეორე მხრივ, ვფიქრობ, ჩვენ მოგებისთვის საჭირო ძალისხმევა მაინც დავხარჯეთ. უნდა ითქვას, რომ მეტოქე აქ მოსაგებად იყო ჩამოსული, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ თუ ამ შეხვედრაში ვინმეს გამარჯვება ეკუთვნოდა, ეს ჩვენ ვიყავით.

| 10155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.0 | 2.1 | 3.0 | 1.23 | 1.5 | 1.23 |
| 10187 | ბილბაო-რასინგი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10188 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10190 | ხეტაფე-ბარსელონა | 5.5 | 2.3 | 1.85 | 1.62 | 1.38 | 1.02 |
| 10191 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.9 | 2.2 | 5.5 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10192 | მალაგა-ალბასეტე | 2.2 | 2.1 | 4.5 | 1.07 | 1.47 | 1.43 |
| 10193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.2 | 2.0 | 2.9 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10194 | ოსასუნა-სევილია | 2.7 | 2.1 | 3.3 | 1.18 | 1.48 | 1.28 |
| 10195 | რეალი-ლევანტე | 1.45 | 3.1 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 2.14 |
| 10196 | ვალენსია-მალიორკა | 1.8 | 2.4 | 5.5 | 1.02 | 1.35 | 1.67 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12002 ფულემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12004 ბირმინგემი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.75 | 1.85 |
| 12006 ჩარლტონი-ჩელსი | 1.75 | 1.85 |
| 12007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.75 | 1.85 |
| 12008 სიტი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.75 | 1.85 |
| 12010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12011 ლივერპული-არსენალი | 1.75 | 1.85 |
| 12084 ვერდერი-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12086 ჰანზა-ლევერკუზენი | 1.95 | 1.65 |
| 12087 კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.95 | 1.65 |
| 12088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.95 | 1.65 |
| 12089 ბაიერნი-მაინცი | 2.15 | 1.55 |
| 12090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.95 | 1.65 |
| 12091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12092 შალკე-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12146 ლივორნო-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12147 სიენა-რომა | 1.8 | 1.8 |
| 12148 მესინა-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12149 სამპდორია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12150 ლაციო-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12151 ატალანტა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12152 ბოლონია-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12153 ბრეშა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 12154 კიევო-მილანი | 1.8 | 1.8 |
| 12155 ინტერი-იუვენტუსი | 1.8 | 1.8 |
| 12187 ბილბაო-რასინგი | 1.75 | 1.85 |
| 12188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.65 | 1.95 |
| 12190 ხეტაფე-ბარსელონა | 1.75 | 1.85 |
| 12191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.8 | 1.8 |
| 12192 მალაგა-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12194 ოსასუნა-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12195 რეალი-ლევანტე | 2.0 | 1.6 |
| 12196 ვალენსია-მალიორკა | 1.8 | 1.8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13002 ფულემი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 1.75 | 1.85 |
| 13004 ბირმინგემი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.9 | 1.7 |
| 13006 ჩარლტონი-ჩელსი | 1.75 | 1.85 |
| 13007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13008 სიტი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 13084 ვერდერი-დორტმუნდი | 1.95 | 1.65 |
| 13085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.65 | 1.95 |
| 13086 ჰანზა-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13087 კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.75 | 1.85 |
| 13088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.95 | 1.65 |
| 13089 ბაიერნი-მაინცი | 1.75 | 1.85 |
| 13090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 13146 ლივორნო-უდინეზე | 1.95 | 1.65 |
| 13147 სიენა-რომა | 1.9 | 1.7 |
| 13187 ბილბაო-რასინგი | 1.6 | 2.0 |
| 13189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.95 | 1.65 |
| 13190 ხეტაფე-ბარსელონა | 1.8 | 1.8 |
| 13009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.9 | 1.7 |
| 13010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13011 ლივერპული-არსენალი | 1.95 | 1.65 |
| 13091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13092 შალკე-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 13148 მესინა-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13149 სამპდორია-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 13150 ლაციო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13151 ატალანტა-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 13152 ბოლონია-ლეჩე | 1.65 | 1.95 |
| 13153 ბრეშა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13154 კიევო-მილანი | 1.8 | 1.8 |
| 13155 ინტერი-იუვენტუსი | 1.65 | 1.95 |
| 13188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.65 | 1.95 |
| 13191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.65 | 1.95 |
| 13192 მალაგა-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 13193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13194 ოსასუნა-სევილია | 1.9 | 1.7 |
| 13195 რეალი-ლევანტე | 1.8 | 1.8 |
| 13196 ვალენსია-მალიორკა | 1.9 | 1.7 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაკმაყოფილდება)

| | | |
|---|---|---|
| 14002 ფულემი-ბლექბერნი | 1.7 | 2.2 |
| 14003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 2.4 | 1.6 |
| 14004 ბირმინგემი-ნორვიჩი | [illegible] | [illegible] |
| 14005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.6 | 2.4 |
| 14006 ჩარლტონი-ჩელსი | [illegible] | [illegible] |
| 14007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.75 | 2.1 |
| 14008 სიტი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.75 | 2.1 |
| 14010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14011 ლივერპული-არსენალი | 2.0 | 1.8 |
| 14084 ვერდერი-დორტმუნდი | 1.65 | 2.3 |
| 14085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.7 | 2.2 |
| 14086 ჰანზა-ლევერკუზენი | 2.0 | 1.8 |
| 14087 კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.6 | 2.4 |
| 14088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.8 | 2.0 |
| 14089 ბაიერნი-მაინცი | 1.3 | 3.0 |
| 14090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.75 | 2.1 |
| 14091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 14092 შალკე-არმინია | 1.6 | 2.4 |
| 14146 ლივორნო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 14147 სიენა-რომა | 1.9 | 1.9 |
| 14148 მესინა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 14149 სამპდორია-პარმა | 1.75 | 2.1 |
| 14150 ლაციო-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14151 ატალანტა-რეჯინა | 1.8 | 2.0 |
| 14152 ბოლონია-ლეჩე | 1.8 | 2.0 |
| 14153 ბრეშა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 14154 კიევო-მილანი | 2.3 | 1.65 |
| 14155 ინტერი-იუვენტუსი | 1.9 | 1.9 |
| 14187 ბილბაო-რასინგი | 1.7 | 2.2 |
| 14188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.75 | 2.1 |
| 14189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.8 | 2.0 |
| 14190 ხეტაფე-ბარსელონა | 2.4 | 1.6 |
| 14191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.55 | 2.5 |
| 14192 მალაგა-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.9 | 1.9 |
| 14194 ოსასუნა-სევილია | 1.8 | 2.0 |
| 14195 რეალი-ლევანტე | 1.3 | 3.0 |
| 14196 ვალენსია-მალიორკა | 1.35 | 2.9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | 1-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ფულემი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბოლტონი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ჩარლტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | სიტი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | ლივერპული-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ვერდერი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ჰანზა-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ბაიერნი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15091 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 | შალკე-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15146 | ლივორნო-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15147 | სიენა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15148 | მესინა-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15149 | სამპდორია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15150 | ლაციო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15151 | ატალანტა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15152 | ბოლონია-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15153 | ბრეშა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | კიევო-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15187 | ბილბაო-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15188 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15190 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15191 | დეპორტივო-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15192 | მალაგა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15194 | ოსასუნა-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15195 | რეალი-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15196 | ვალენსია-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| .1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ფულემი-ბლექბერნი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11004 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11006 | ჩარლტონი-ჩელსი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11007 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11008 | სიტი-ასტონ ვილა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11009 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11010 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11011 | ლივერპული-არსენალი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11084 | ვერდერი-დორტმუნდი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11085 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11086 | ჰანზა-ლევერკუზენი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11087 | კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11088 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11089 | ბაიერნი-მაინცი | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11090 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.1 | 4.3 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11091 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11092 | შალკე-არმინია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11146 | ლივორნო-უდინეზე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11147 | სიენა-რომა | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11148 | მესინა-ფიორენტინა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11149 | სამპდორია-პარმა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11150 | ლაციო-კალიარი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11151 | ატალანტა-რეჯინა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11152 | ბოლონია-ლეჩე | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11153 | ბრეშა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11154 | კიევო-მილანი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11187 | ბილბაო-რასინგი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11188 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11190 | ხეტაფე-ბარსელონა | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11191 | დეპორტივო-სოსიედადი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11192 | მალაგა-ალბასეტე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11194 | ოსასუნა-სევილია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11195 | რეალი-ლევანტე | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11196 | ვალენსია-მალიორკა | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონ 43

## პრინცმა ჯეიმსმა მეფეს სიტყვა ჰკადრა



REUTERS

— 24 ნოემბერი —

**ფინიქსი 111:104 მილუოკი**

ფინიქსი: ნეში (22 ქულა, 12 პასი), ჯონსონი (13), რიჩარდსონი (20), მარიონი (23 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (16); ბარბოსა (12), ჯეკობსენი (5), ვოსკული

მილუოკი: უილიამსი (9), რედი (22), მეისონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ვან ჰორნი (12), გაძურიჩი (2); სმიტი (18), სტრიკლენდი (14), ჯეიმსი (7), ფიზერი

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**ორლანდო 83:89 პორტლენდი**

ორლანდო: თურქოღლუ (27)

პორტლენდი: რენდოლფი (27), სტუდემაიერი (16)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**ატლანტა 93:99 მაიამი**

ატლანტა: უოლკერი (22), კოლიე (20)

მაიამი: ვეიდი (31 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), ონილი (21), ჰეისლიმი (21)

**იუტა 99:101 ჩიკაგო**

იუტა: კირილენკო (20), ბუზერი (18 ქულა, 13 მოხსნა)

ჩიკაგო: გორდონი (22), კარი (21), ჰაინრიხი (17)

**ფილადელფია 110:97 ბოსტონი**

ფილადელფია: აივერსონი (28 ქულა, 10 პასი), დევისი (19), ჯეკსონი (17)

ბოსტონი: დევისი (23), პირსი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**კლივლენდი 92:76 დეტროიტი**

კლივლენდი: ჯეიმსი (43)

დეტროიტი: ჰამილტონი (28)

**მემფისი 84:93 სიეტლი**

მემფისი: ბეტიე (12)

სიეტლი: ლუისი (27 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (20)

**ტორონტო 114:91 ნიუ იორკი**

ტორონტო: კარტერი (22), პალასიო (18), როუზი (16)

ნიუ იორკი: მუჰამედი (25 ქულა, 14 მოხსნა), მარბერი (25)

**სან ანტონიო 94:80 დალასი**

სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (15)

დალასი: ნოვიცკი (23 ქულა, 11 მოხსნა), სტეკჰაუზი (15)

მძიმე დროება უდგას „მილუოკი ბაქსს“, აგებს და აგებს. „ფინიქსთან“ მარცხი ზედიზედ მეექვსე იყო ტერი პორტერის ბიჭებისთვის და ახლა ისინი დივიზიონში მარად უხეირო „ჩიკაგოს“ თუ ალემატებიან.

17 წელია, „ხარირმებს“ ფინიქსში არ მოუგიათ. ახლა საბრძოლველად იყვნენ განწყობილები და ბოლომდე არ ნებდებოდნენ მასპინძლებს. ტერი პორტერმა დამწყებ ხუთეულში ერთი ცვლილება განახორციელა, მძიმე მეფარის ჯო სმიტის ნაცვლად მოძრავი მოიერიშე დესმონდ მეისონი შეიყვანა, რაკი „ფინიქსს“ მთელს ლიგაში ყველაზე მოუხელთებელი ხუთეული ჰყავს. ამ ცვლილებამ თითქოს გაამართლა — მეისონმა 20 ქულა გააზერხა და მარქაფებში ჩამოქვეითებით შეჩქვიფებული სმიტიც სეზონში უმეტეს 18 ქულას გამოვიდა, მაგრამ „ფინიქსის“ ძლევას ესეც არ ეყო. „სანზმა“ ზედიზედ მეექვსედ მოიგო და ატლანტიკის ცხრილის თავში ისე გამყარდა, კარგა ხანს ვერავინ დაეწევა.

„არა, რაც მართალია, მართალია, გადასარევი გუნდი გვყავს — თავმომწონეობს „ფინიქსის“ ახლადგამომცხვარი ლიდერი სტივ ნეში — სიამოვნებაა ამდენ კარგ შემტევთან თამაში. ცოტა ძნელიცაა, რადგან ყველას უყვარს ბურთის ჩაგდება და ოთხივეს ერთად ხომ ვერ მივცემ პასს.“ ასეა თუ ისე, ნეში მაინც აგროვებს ნბა-ს ყველა სხვა გამთამაშებელზე მეტ პასს და ჩანს, „ფინიქსში“ უფრო ბედნიერია, ვიდრე „დალასში“, სადაც ასევე მრავალლონე მოიერიშეები — დირკ ნოვიცკი და მაიკლ ფინლი უმშვენებდნენ გვერდს.

შეტევაზე და ქულების მოხვეჭაზე ჩამოვარდა სიტყვა და არ იქნება, ლებრონ ჯეიმსი არ ვახსენოთ. ამ ჯეელს ბევრი რომ შეეძლო, ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ოთხშაბათს ღამით მან ყველა ეჭვი გაფანტა — მასზე ალაპარაკა ქვეყანა და ლიდერმა ჯეიმსმა, რომელსაც ოცი წელი ჯერაც არ შესრულებია, მორიგი ფოიერვერკი მოაწყო და ჩემპიონ „დეტროიტს“ 43 ქულა დაატეხა. ამ სეზონში ამდენი ჯერ ვერავის მოუხვეჭია. ლებრონის „კლივლენდმა“ კი, რა თქმა უნდა, მოიგო.

სუპერჯეიმსს „დეტროიტთან“ თავგამოდების მიზეზი ჰქონდა. „პისტონზის“ მწვრთნელი ლარი ბრაუნი — ეგებ გახსოვთ — ათენის ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრებს თავკაცობდა და იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, ყმაწვილი ლებრონის მოედანზე გაყვანას ერიდებოდა. ჰოდა, ამ გამოუცდელმა ყმაწვილმა მასაც და მთელ მის ნაქებ გუნდსაც თავისი აი, ასე უმოწყალოდ დაუმტკიცა.

როგორც იქნა, გაიხარა უსახურმა „ჩიკაგო ბულზმაც“, თანაც ვისთან, „იუტა ჯაზთან“. დაოსებულ „ხარებს“ ცხრა თამაში დასჭირდათ გონზე მოსასვლელად. მწვრთნელმა სკოტ სკაილზმა ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა ინგლისში გაზრდილი სუდანელი ფორვარდის ლუოლ დენგის დამწყებ ხუთეულში დაყენება და სკამზე თვით 130-კილოგრამიანი ცენტრი ედი კარი დასვა. გაზარმაცებულ კარის ეს ერთგვარი დატუქსვა აშკარად მოუხდა — მოედანზე თვალებჩასისხლიანებული ბულასავით შეიჭრა და „იუტას“ 21 ქულა ურქინა. დაწინაურებულმა დენგმა მას 11 მიაშველა, მეორე ახალბედამ ბენ გორდონმა კი სეზონის და ამავდროულად კარიერის რეკორდი გამოაცხო — 22 ქულა გაჩარხა და იძლია „იუტა“.

**ქოტე ყორშია**

# ეს მოხდა კლივლენდთან...

## ფაჩულიას ჟურნალისტებმა დიაგნოზი დაუსვეს

**ხუთმატჩიანი** იძულებითი პაუზის შემდეგ კოჭნატკენი ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა და ორი მატჩიც ითამაშა, თუმც, როგორც ჩანს, ქართველ ცენტრს ფეხი ბოლომდე არ მოშუშებია — გუშინწინ „ფინიქს სანსთან“ კვლავ სკამზე გაატარა მთელი თამაში. ფაჩულიას ტრავმის გამო მილუოკელი ჟურნალისტები ერთობ შეწუხებულნი არიან — ამბობენ, ზაზას არყფნით „ბაქსს“ ფარქვეშ პრობლემები მოეძალაო და ცდილობენ, ქართველი ცენტრის ტრავმის გამომწვევი მიზეზები გამოიძიონ. ამ მიზნით ისინი ფაჩულიას საგანგებოდ გაესაბრნენ...

„ეს იყო „კლივლენდთან“, მეორე ტაიმში“ — ამბობს ფაჩულია და ცდილობს, სეზონის გახსნის მატჩი უფრო დაწვრილებით გაიხსენოს.

ზაზას უჭირს, დამაჯერებლად ახსნას ის მომენტი, როცა ფეხი იტკინა: „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ტკივილი თავისთავად, ყოვლად უმიზეზოდ დაიწყო. ტერფი არც გადამტრიალებია და არც არავის მოურტყამს, თუმც ტკივილი ზუსტად ისეთი იყო, ასეთ დროს რომ იცის. არც კი ვიცი, რა ვთქვა, ეს ძალიან უცნაურია.“

„უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რაც ფაჩულიასთვის ხომ ცუდია, „მილუოკისთვის“ მით უმეტეს“ — დასძენენ ამერიკელი ჟურნალისტები.

ზაზა ამბობს, რომ სირბილიც შეუძლია და ხტომაც, თუმც ზოგიერთ მოძრაობებს, რაც ფარქვეშ თამაშისასაა აუცილებელი, ტკივილის გამო ვერ აკეთებს.

„ტერფზე ერთი პატარა ადგილი მტკივა, მაგრამ ისე ძლიერად, რომ თამაშის თავი არ მაქვს“ — ჯავრობს ფაჩულია.

„მილუოკი“ მოუთმენლად ელის ფაჩულიას გამოჯანმრთელებას, რაკი მის არყოფნაში მოთამაშეთა სათამაშო დროის



ბალანსი დარღვეულია და გუნდის ლიდერებს განსაზღვრულზე მეტხანს უწევთ მოედანზე ყოფნა. მაგალითად, კიტ ვან ჰორნმა წინა კვირაში 47 წუთი ითამაშა „მაიამის“ წინააღმდეგ და ერთხანს მისთვის უჩვეულო პოზიციაზეც.

„ძალიან ცუდია, რომ ფაჩულიაც ვერ გვეხმარება, დაბლები რომ გვაკლდნენ, კიდევ მოვახერხებდით რამეს, ახლა კი ჩვენს ფორვარდებს 40 წუთზე მეტხანს უწევთ თამაში. ეს იმიტომ ხდება, რომ განაცხადში არასაკმარისად გვყავს ტანმაღალი მოთამაშეები“ — ამბობს „მილუოკის“ მწვრთნელი ტერი პორტერი.

ამასობაში კი შანსი მიეცა მილუოკელთა სათადარიგო ფორვარდ მარკუს ფიზერს, რომელმაც „პორტლენდთან“ 16 წუთში 5 ქულა გააზერხა. პორტერი ფიზერს ემადლიერება, მაგრამ მისი ფიქრები მაინც ფაჩულიასკენაა მიპყრობილი.

ზაზა კი ამბობს, ყველაფერი კარგად იქნება და მალე მოედანზეც მიხილავთო — აი, ასე იმედიანად ასრულებს სტატიას „ჯორნალ სენტინელის“ ჟურნალისტი ტომ ენლუნდი.

**ირაკლი პერტაია**

# ლუდის კათხა მილიონად

## ნბა მოწმეებს ეძებს

**დეტროიტში**, „პისტონზ“ — „პეისერსის“ მატჩისას მომხდარი ჩხუბის ირგვლივ გამოძიება ჯერაც გრძელდება და ბრალდებულთა რიცხვიც იზრდება. პოლიცია ეძებს იმ კაცს, რომელმაც ტრიბუნიდან სკამი ისროლა და ინფორმატორს ჯილდოდ 1000 დოლარს ჰპირდება.

ამასობაში კი კიდევ ერთი მუშტების მქნეველი კალათბურთელი გამოაშკარავდა და ისიც, რა თქმა უნდა, ინდიანელია. ღრმა სათადარიგო ცენტრმა დევიდ ჰარისონმა 67 წლის ძიაკაცს ჯონ აკერმანს მუშტი სთხლიშა და ეს ტელეკომპანია „ტივი სპორტის“ კამერებმა დააფიქსირა.

ტელეკომპანამ ვიდეოფირი ნბა-ში გაგზავნა, მაგრამ პროფესიული ლიგის წარმომადგენელთა თქმით, ჰარისონი დასჯას არ იმსახურებს, რადგან მუშტებს მოედანზე კი არა, გასახდელთან იქნევდა. პოლიციის სერჟანტი ჯეიმს მენინგი კი ამტკიცებს, ჰარისონი ტრიბუნაზეც იგივეს აკეთებდაო. ახლა მოწმეებს ეძებენ და ჰარისონის დამსმენებსაც 1000 დოლარს ჰპირდებიან ინფორმაციისთვის.

თუ პოლიცია დამნაშავეებს ეძებს, ანონიმმა გულშემატკივარმა შუა ჩხუბისას ის ლუდის მუყაო-კათხა იპოვა, მავანმა რომ თავზე დაათხლიშა მთავარ ჩხუბისთავ რონ არტესტს და ნბა-ში აქამდე არნახულ ჩხუბს დაუდო სათავე.

კათხის მპოვნელმა „ძვირფასი ექსპონატი“ ინტერნეტ-აუქციონზე გაიტანა და მას ასეთი რეკლამა წაუმძღვარა: „არც ერთი კოლექცია არ იქნება სრულყოფილი ამ კათხის გარეშე — რონ არტესტის ფანებისთვის ეს ფასდაუდებელი ნივთია.“

იქვე იყო წარმოდგენილი ის სურათები, რომელიც გასაყიდად გამოტანილი კათხის არტესტის თავზე დანარცხებას აფიქსირებდა. მერე ვაჭრობა გაჩაღებულა, თქვენი მოწონებული. როცა კათხის ფასმა მილიონ დოლარს მიაღწია, ვაჭრობა შეწყდა. ცნობილმა ინტერნეტ-აუქციონიმა „ებეიმ“ „ექსპონანტი“ ისე გააქრო მონიტორებიდან, რომ ახსნა-განმარტებანი არ გამოუქვეყნებია.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი წრე. მეორე ტური
25 ნოემბერი. ასკ-ს დარბაზი

**საუ-მამული 41:25 გორი**
საუ-მამული: ქელიძე (გაიტანა 7 გოლი), გ. კობახიძე (7), ღლანიძე (6)
გორი: მშვიდობაძე (13), ქარქაშაძე (8)

**თელავი 26:20 ბათუმი**
თელავი: ჯიშკარიანი (9), მეტრეველი (5)
ბათუმი: ურუშაძე (6), მეხრიშვილი (4), სიხარულიძე (4), ი. წიტაიშვილი (3)

**სტუ-შევარდენი 44:33 ქუთაისი**
სტუ-შევარდენი: რუსია (11), მ.კობახიძე (10)
ქუთაისი: გობეჯიშვილი (11), მამასახლისი (8)

**ხ/კ თბილისი 31:20 სამტრედია**
თბილისი: ფორაქიშვილი (6), აბულაძე (6)
სამტრედია: ჯოჯუა (9), ჭანტურია (5)

**ქარიშხალა — ჭაბუკები**
*არ ჩატარდა უშუქობის გამო*

# ბოყოჩაძე ჩამოქვეითდა

**გუშინდელ თამაშებზე** სათქმელი ბევრი არაფერია. ლიდერებს იოლი გასეირნება გამოუვიდათ, ხოლო ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის გუნდების — „ქარიშხალასა" და ჭაბუკთა ნაკრების მატჩი არ შედგა არმიის სპორტული კლუბის დარბაზში უშუქობის გამო. ეს შეხვედრა ტურის დასრულების შემდეგ, მომავალ კვირაში გაიმართება.

პირველ დღეს წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ „საუ-მამულის" ძლევის შემდეგ მადაზე მოსულმა „თელავმა" გუშინ, „ბათუმიც" დაამარცხა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ფინალური ექვსეულისკენ. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ცხრაჯერ გამტანი ვახტანგ ჯიშკარიანი, ზღვისპირელთა შორის კი ტრადიციულად გამოირჩა შეჯიბრების ლამის ყველაზე ასაკოვანი მონაწილე, 32 წლის მოთამაშე-მწვრთნელი ზურაბ ურუშაძე (6), უკვე 56 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირებში მეორე პოზიციაზეა გორელ გოჩა მშვიდობაძის შემდეგ. სწორედ მშვიდობაძემ გაიტანა გუშინდელ ოთხ შეხვედრიდან ყველაზე მეტჯერ და 62 ბურთით დაწინაურდა სნაიპერთა სიაში.

ეროვნული ჩემპიონატების მთავარმეგოლე ალექსანდრე ბოყოჩაძემ გაციების გამო მეორე თამაში გამოტოვა და ამიტომაც მოუხდა ლიდერობის დათმობა. მის არყოფნაში „ქუთაისს" ადვილად მოუგო საქართველოს 14-გზის ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა". ქუთათურებს დღეს 13 საათზე მეტად პრინციპული მატჩი ელით ქულადაუკარგავ „თბილისთან". ასკ-ს დარბაზში კიდევ სამი „მძიმე" თამაშიც შედგება: „საუ-მამული" — „ქარიშხალა", „თელავი" — ჭაბუკების ნაკრები და „გორი" — „სამტრედია".

**გია ახალაძე**

### სატურნირო ვითარება

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 0 | 0 | 178:138 | 12 |
| სტუ-შევარდენი | 5 | 0 | 1 | 188:141 | 10 |
| ქუთაისი | 5 | 0 | 1 | 209:174 | 10 |
| საუ-მამული | 4 | 0 | 2 | 248:161 | 8 |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 2 | 157:147 | 6 |
| თელავი | 3 | 0 | 3 | 158:149 | 6 |
| ჭაბუკები | 2 | 0 | 3 | 121:160 | 4 |
| ბათუმი | 0 | 1 | 5 | 150:196 | 1 |
| სამტრედია | 0 | 1 | 5 | 142:207 | 1 |
| გორი | 0 | 0 | 6 | 126:204 | 0 |



„შევარდენში" ერთ-ერთი საუკეთესო დავით ნადირაძე იყო





იოკოძუნა ასასიორუს გაუჭირდება იმპერატორის თასის შენარჩუნება

# იაპონიას მონღოლები შესევიან

**სეზონის** დამაგვირგვინებელი იმპერატორის თასის მეექვსე გათამაშების ფინალამდე სამი დღე რჩება. მსოფლიოს უძლიერეს სუმოისტთა სათავეში კი ჯერაც დგას 21-ე საუკუნის პირველი იოკოძუნა, 24 წლის მონღოლი ასასიორუ. თუმც ტიტულის შენარჩუნება ახლა მისთვის არც ისე ადვილი ჩანს, როგორც რამდენიმე ტურის წინ. „ცისფერ დრაკონს" მცირე სხვაობით ჩამორჩენილ დიდკაცებთან უპირატესობის შესანარჩუნებლად ყველა დარჩენილი შეხვედრის მოგება მართებს, რაც თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არცთუ იოლი საქმე უნდა იყოს. თან კალენდარიც არცთუ გასასეირნებელი აქვს.

მოქმედი იოკოძუნას პირველი ამნერვიულებელი მისივე თანამემამულე, „თეთრ ფენიქსად" წოდებული სუმოს ამომავლი ვარსკვლავი ხაკუხო გამოდგა. დასავლეთის პირველი მაეგასირა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში მეოთხე ტურნირს ატარებს. თან ყოველ შემდეგ ტურნირზე წონაშიც მატულობს და შედეგსაც აუმჯობესებს.

ასასიორუს ძლევის მთავარ მიზეზად ხაკუხომ თავისი ოჯახის ტრადიცია მოიტანა — აქაოდა, მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი მოჭიდავის შვილი რომ ვარ, აგერ გამოჩნდაო. თან დააყოლა, ტრადიციულ მონღოლურ ჭიდაობაში მამამისი მამაჩემს ვერასოდეს სჯობდა და ვითომ მე რატომ უნდა წამეგოო.

მაკუტის მონღოლური შეხლის შემდეგ იმპერატორის თასის ფავორიტები სწორედ „ცისფერი დრაკონი" და „თეთრი ფენიქსი" იყვნენ 11 შესაძლებლიდან 10-10 ქულით, მაგრამ გუშინ ისევ იოკოძუნა დაწინაურდა. ხაკუხომ კი მოულოდნელად დაბეჩავებულ ოძეკი ტიოტაიკაისთან წაიფორხილა.

იოკოძუნას სანუკვარი ტიტულის მოპოვების შანსს ინარჩუნებს სეკივაკე ვაკანოსატოც, რომელიც ლიდერებს კუდზე აზის, ხოლო მის ზურგსუკან მყოფ 32 წლის ოძეკი კაიოს მხოლოდ თეორიული შანსებიღა შერჩა.

სეზონის ბოლო ბაშო არცთუ წარმატებული გამოდგა ჩვენებური კოკაისთვის. მის ანგარიშზე მხოლოდ ოთხი მოგებაა და თუ უნდა, რომ წოდების ჩამოქვეითებას გადაურჩეს, დარჩენილი სამივე შეხვედრა უნდა მოიგოს, რაც გმირობის ტოლფასი იქნება. დღეს კოკაის მეტოქე მაკუტის ყველაზე გამოცდილი სეკიტორი, 36 წლის კოტონოვაკა იქნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ლიუბლიანაში სვენებ-სვენებით

**27-28 ნოემბერს** სლოვენიის მთავარქალაქი ლიუბლიანა 23 წლამდე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ასაკში ევრო თუ მსოფლიოს პირველობები შედარებით ახალი ხილია და პირველად შარშან გაიმართა სომხეთში. ლიუბლიანურ სპორტკომპლექს „ტივოლის" ტატამს საქართველოს ნაკრებიც შეესევა, რომელსაც ბორის ფიცხელანი უთავკაცებს. შეგახსენებთ, რომ ფიცხელანმა წლევანდელ შემოდგომაზე 19-წლამდელთა ნაკრები ჯერ სოფიაში ევროპის ჩემპიონატზე, შემდეგ კი ბუდაპეშტურ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიყვანა და ორივეგან ბარაქიან შედეგს მიაღწია.

სლოვენიაში ჩვენები არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით გაემგზავრნენ, თუმც დანაკლისი იძულებითი არაა. უბრალოდ, მწვრთნელმა 19-წლამდელებში გაჩემპიონებული მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი და ვერცხლის მედალოსანი ზაზა კედელაშვილი დაასვენა. სამაგიეროდ, გუნდში არიან მინდია ბოდაველი (90კგ) და გიორგი ყიზილაშვილი (100კგ), რომლებსაც გამოცდილების მხრივ პრობლემა არ ექნებათ და ლიუბლიანაშიც ფავორიტებად ითვლებიან. ქართველთა შვიდკაციანი შემადგენლობა კი ასეთია: ვახტანგ ხოსიტაშვილი (60კგ), მინდია ხომიზური (66კგ), დავით კობერიძე (73კგ), ხვიჩა ხუციშვილი (81კგ), მინდია ბოდაველი (90კგ), გიორგი ყიზილაშვილი (100კგ), ლევან გორგოძე (მძიმე წონა)

**ილია ნანობაშვილი**





ზაზა კედელაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი სლოვენიაში არ წავიდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

გოჩა ძასოხოვს ჯერჯერობით ერთი საგარაუდო შემცვლელი გამოუჩნდა

# ბაკურ გოგიტიძე ოფიციალურად გაცხადდა

**უპრეზიდენტოდ** დარჩენილი ჭიდაობის ფედერაცია საპრეზიდენტო არჩევნებს 15 დეკემბერს ატარებს. პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღება კი უკვე ერთი კვირაა, დაიწყო.

გოჩა ძასოხოვის გადადგომის შემდეგ კულუარებში ბევრი ყოფილი მოჭიდავის, ბიზნესმენის თუ მთავრობის წევრის გვარს ძიისმენდით, რომელთაც ჭიდაობის მომავალ მესაჭედ ნათლავდნენ, თუმც ვინ მოისურვებს და ყველას ვინ აჯობებს, ამას მხოლოდ არჩევნებზე ვნახავთ.

სიახლეების შესატყობად გუშინ ფედერაციის გენერალურ მდივან ომზარ შოშიტაშვილს შევეხმიანეთ და შევიტყეთ, რომ ამ დროისთვის პრეზიდიუმს მხოლოდ ერთი განაცხადი აქვს მიღებული. „პრეზიდენტობის მსურველი ჯერჯერობით მხოლოდ ვეტერანი მოჭიდავე ბაკურ გოგიტიძეა — გვითხრა შოშიტაშვილმა — ეს კანდიდატი პრეზიდიუმის სხდომამდეც სახელდებოდა, ახლა კი ოფიციალურად გაფორმდა. დანარჩენი ორი ყველაზე მეტად გახმაურებული შესაძლო კანდიდატი საბოლოოდ გამოირიცხა. ექსპარლამენტარი ზაზა სიორიძე და პარლამენტარი ვალერი გელაშვილი არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებენ. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 10 დეკემბერია. ასე რომ, ჯერ საკმაო დროა და ვნახოთ, ვინ და როდის გამოჩნდება."

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

*შაბათი ევროპაში დიდი რაგბობის დღედ იქცა. მერამდენე კვირაა სამხრეთელი ბობოლები ბებერ კონტინენტს სტუმრობენ და თავს ტესტ-მატჩებში ამოწმებენ*

# სერის სერიოზულობა

## ვუდვორდი მტრების მტრებს ზვერავს

**წინა უქმეები** მეტად ტრავმიანი აღმოჩნდა გუნდებისათვის და საამშაბათოდ შემადგენლობებიც სერიოზულად გადახალისდება. იტალიას ძირითადის ორიოდ მორაგბე მოაკლდება, უელსი 6 კაცს გამოცვლის და შოტლანდიელებსაც მოუწევთ შემადგენლობის გადახედვა, თუმცა ყველაზე მეტ ყურადღებას მაინც ინგლის — ავსტრალიისა და საფრანგეთ — ახალი ზელანდიის დაპირისპირებები იმსახურებს, ამიტომაც ამ გუნდების სამზარეულოებში შევიხედოთ.

ავსტრალიელებმა გასულ შაბათს შოტლანდიაში 31:17 იმარჯვეს და ამას მათი 3 კაცი შეეწირა. სქოთთაგან ყბამონგრეულ ოზთა მოიერიშე სტირლინგ მორტლოკს ცენტრში მორგან ტურინუი შეცვლის. მხარმოტეხილი სტივენ ლარქემის ათნომრიან მაისურას კი მოწოდებით შუამარბი ელტონ ფლეტლი ჩაიცმევს. მარჯვენა ფრთაზე კლაიდ რეთბოუნის მაგივრად ძველი გარემარბი ვენდელ სეილორი ბრუნდება — რეთობოუნს მუცელი უტკენია.

მსგავს სიტუაციაშია საფრანგეთის ნაკრებიც. არგენტინელმა „პუმებმა" ეტყობა, მწარედ გაჰკრეს კბილი „მამლების" შერკინების გამთამაშებელ ჟან-ბატისტ ელისალდეს, რომელმაც საფრანგეთ — არგენტინის მატჩი ვერც ჩაამთავრა. მის მაგივრად ცხრა ნომრად დიმიტრი იაშვილს უნდა ეთამაშა, მაგრამ ბორჯღალოსანი გრეგ იაშვილის ძმასაც ტრავმა ჰქონია და „მამლების" თავკაცი ბერნარ ლაპორტიც დილემის წინაშე დადგა — ან ახალი ცხრა ნომერი უნდა „გამოეჩეკა" საიდანმე, ანაც ნაკრების რომელიმე წევრისთვის პოზიცია შეეცვალა. ასეც მოიქცა და შაბათს ახალზელანდიელებთან ცხრა ნომრად ფრედერიკ მიშალაკი ითამაშებს, თავის ათნომრიან მაისურას კი ვინმე ჟულიენ პეირლონს ჩააცმევს. ამ უკანასკნელის შემცვლელი კი მეტიუ ბეროუ იქნება.

ფრანგთა ნაკრებში ორი საგულისხმო ცვლილებაცაა. ლაპორტმა ძირითადში სამხრეთ აფრიკაში დაბადებული ბრაიან ლიბენბერგი და ახალ ზელანდიაში შობილი ტონი მარში გაამწესა. საგულისხმო ამაში ისაა, რომ საფეხბურთო ნაკრებისაგან განსხვავებით, სარაგბო საფრანგეთი მეტად კონსერვატორულია და საზღვრებს გარეთ შობილ მორაგბეებს ამ გუნდში იშვიათად თუ უთამაშიათ. თუმცა ამის მიუხედავად ეს ორნი საფრანგეთის დროშის ქვეშ კარგა ხანია, ბურთაობენ.

სათქმელია, რომ ფრანგთა ვარჯიშს დაესწრო ინგლისელი „ვარდების" ყოფილი თავკაცი კლაივ ვუდვორდი. სერ ვუდვორდმა ამ ორი თვის წინ ინგლისის წვრთნაზე უარი კი თქვა, მაგრამ „ლომებად" წოდებულ ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებულ ნაკრებს კვლავ ჩაუდგება სათავეში და გაისად ახალ ზელანდიაში ჩაიყვანს. ასეთი ნაკრები ოთხ წელიწადში ერთხელ იკრიბება და „ლომების" თამაში ყოველთვის თვალსასეიროა. ამიტომაც ვუდვორდი სერიოზულად უდგება საქმეს და მომავალი მოწინააღმდეგისთვის ახლავე ემზადება, თუმცა ცოტა უცნაურად. იმის მაგივრად, უშუალოდ მეტოქეს დააკვირდეს, ის მათი მეტოქეთა ბანაკებში დადის და მათ ვარჯიშებს უჭვრეტს. ახლა ხომ საფრანგეთის ნაკრებს ახლავს თან, წინა კვირებში იტალიელებს და უელსელებს ზვერავდა. ცოტა უცნაური კია, მაგრამ სერ კლაივს სარაგბო საქმეს ვერავინ ასწავლის და რაც ჩვენ უცნაურად გვეჩვენება, ამ კაცისათვის შეიძლება სრულიად ჩვეულებრივი რამაა.



სერ კლაივ ვუდვორდი

**ლადო ჭულუკიძე**



წლევანდელი ექვსი ერის გათამაშების გმირი დიმიტრი იაშვილი ტრავმის გამო საფრანგეთის ნაკრებში ვერ მოხვდა

ჩოგბურთი



REUTERS მოხუკოფოტოებიდან

ანასტასია მისკინა

## ფედერაციის თასი

### ნახევარფინალი

**რუსეთი 5:0 ავსტრია**

**ანასტასია მისკინა** — პატრისია ვარტუში 6:0, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** — ივონ მოისბურგერი 6:1, 6:1; **კუზნეცოვა-ელენა ლიხოვცევა** — ვარტუში-მოისბურგერი 6:2, 6:2; **კუზნეცოვა** — დანიელა კირხი 6:1, 6:1; **მისკინა** — მოისბურგერი 3:6, 6:3, 6:1

**საფრანგეთი 5:0 ესპანეთი**

**ნატალი დეში** — მარია სანჩეს ლორენსო 6:2, 6:4; **ტატიანა გოლოვინი** — ანაბელ მედინა გარიგესი 6:3, 6:3; **დეში** — მედინა გარიგესი 6:3, 6:1; **გოლოვინი** — მარტა მარერო 6:3, 6:4; **ემილი ლუა, მარიონ ბარტოლი** — ვირხინია რუანო პასკუალი, მარერო 7:5, 6:2

# ჩემპიონებმა შეორესმოდაც გაიფინალეს

## მისკინამ კი შარაპოვას მამა დაუწუნა

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელ ჩემპიონებს მათი ორი უსახელიანესი მეჩოგნე — ამელი მორესმო და მარი პირსი აკლდათ, ესპანელთა პირწმინდად ძლევა მაინც არ გასჭირვებიათ. აქვე წარმოდგენილი ანგარიშებიდანვე იოლად დაატყობთ, რომ მოსკოვის „კრილატსკოეს" ჭერქვეშ იბერმა გოგონებმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მათ ჩრდილოელ მეზობლებს. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთმა ესპანეთს შარშანდელი ფედთასის გათამაშებაშიც აჯობა, ოღონდ მაშინ — მეოთხედფინალში. ისე კი, გალქალები აქამდე ფინალში ორჯერ, 1997 და 2003 წლებში გასულან და ორჯერვე გაჩემპიონებულან. ისინი ამ ჯერზეც ყინჩად არიან — განსაკუთრებით მოსკოვში დაბადებული და რვა თვეში გაფრანგებული ტატიანა გოლოვინი იქადნება, აქაოდა, საამისოდ ყველაფერი მაქვსო. თუმცა არა გვგონია, თავის პირველი საფედთასო ტიტულისთვის მონადირე რუსგოგონებმა მშობლიური სატახტოდან ვინმეს რამე ეგრე ხლებსოლივით მიართვან. ხოლო სადღეისოდ ერთი პატარა შიდარუსული ამბავიც. ანასტასია მისკინას უთქვამს, ნაკრებში მარია შარაპოვაც თუ ითამაშებს, მე აქ ველარ მნახავთო. მიზეზად კი მაშა მამის, იურის საკორტო უსაქციელობა მოუყვანია — ეგ კაცი კორტზე ისე არაკორექტულად და გაუზრდელად იქცევა, მისი თანდასწრებით ჩოგნაობის არავითარი სურვილი არა მაქვსო.

**ლევან ბელაურაძე**





არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“ ავსტრიულ „გრაცერს“ გადააბიჯა და ცხრილის თავში მოექცა. ავსტრიელები შესვენებამდე გაუძალიანდნენ მასპინძლებს, მაგრამ მეორე ტაიმში მოყანყალდნენ. ანგარიში ნაჩო ნოვომ გახსნა, რომელსაც თითქმის ყოველ შეხვედრაში გააქვს გოლი, ხოლო შეცვლაზე შესულმა შოთა არველაძემ „გრაცერს“ ქულის გადარჩენის იმედი გადაუწურა. „აიბროქსი“ მესამედ ჰამედ ნამუშიმ აადუღა და „გრაცერი“ გლაზგოდან უქულოდ და უგოლოდ გაისტუმრეს.



*გელზენკირხენში „შალკემ“ „ფერენცვაროში“ დაამარცხა და ჯგუფში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ამ უნგრულ გუნდს გერმანიაში აქამდე არასოდეს მოეგო და რაღა „ხუმარებთან“ გაილაღებდა. სტუმარმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში თავით ჩაჭრა, პირველი ტაიმის მიწურულს კი ლევან კობიაშვილმა ცაციით მეორე გაიტანა.*

# ოქროს ბურთსაც მოგცემენ, შვილო?



*რატომ ჩავიდა რონალდინიოს დედა ბარსელონაში? იმიტომ, რომ შვილის სიხარული გაიზიაროს. გუშინ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად „ბარსელონას“ ბრაზილიელი ვარსკვლავი აღიარეს და ამის ნიშნად ვერცხლის ბურთი უფეშქაშეს. ეს „კამპ ნოუზე“ მოხდა და დედა-შვილი ჯილდოთი ხარობს. ისედაც მუდამ მხიარულ რონალდინიოს კბილების გამოსაჩენად კიდევ ერთი მიზეზი ებოძა.*

# უეფას თასი

## ჯგუფური ეტაპი. III ტური.

### A ჯგუფი

**შალკე 2:0 ფერენცვაროში**

1:0 დიეპესი (15ს.კ.), 2:0 კობიაშვილი (40)

შალკე: ფ. როსტი, კლასენერი (პოულსენი 46), ბორდონი (ვალდოხი 40), კრსტაიჩი, პანდერი, ვერმანტი, ასამოა, კობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი (ჰამიტ ალტინტოპი 46), აილტონი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

მსაჯი: კოლომბო

51 179 მაყურებელი

**ბაზელი 1:2 ჰართსი**

0:1 უაიზი (31), 1:1 კარინანო (76), 1:2 ნილსონი (89)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ფერენცვაროში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

IV ტური, 1 დეკემბერი

**ფერენცვაროში — ბაზელი**

**ფეიენოორდი — შალკე**

### B ჯგუფი

**სტიაუა 2:1 ბეშიქთაში**

1:0 ნეაგა (3), 2:0 ციჩოი (19), 2:1 აკიმი (87)

**სტანდარდი 2:1 პარმა**

0:1 პისანო (43), 1:1 კერაერტსი (54), 2:1 გარბინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

IV ტური, 1 დეკემბერი

**ბეშიქთაში — სტანდარდი**

**ბილბაო — სტიაუა**

### C ჯგუფი

**დნიპრო 1:0 აუსტრია**

1:0 ნაზარენკო (19)

**ბრიუგე 1:0 უტრეხტი**

1:0 ლანგე (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბრიუგე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აუსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

IV ტური, 1 დეკემბერი

**აუსტრია — ბრიუგე**

**სარაგოსა — დნიპრო**

### E ჯგუფი

**ვილიარეალი 2:0 მიდლსბრო**

1:0 გიარე (36), 2:0 ვენტა (74)

**ლაციო 2:2 პარტიზანი**

0:1, 0:2 ბოია (6, 25), 1:2 დი კანიო (52), 2:2 ს. ინძაგი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ეგალეო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

**პარტიზანი — ვილიარეალი**

**ეგალეო — ლაციო**

### F ჯგუფი

**რეინჯერსი 3:0 გრაცერი**

1:0 ნოვო (58), 2:0 არველაძე (86), 3:0 ნამუში (90)

რეინჯერსი: კლოსი, ხიზანიშვილი, ბუმსონგი, ენდრიუსი, ვინალი (ბოლი 30), ნამუში, რიკსენი, მალკოლმი, ლოვენკრანდსი (არველაძე 77), პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ო. ბენკუერენსა (პორტუგალია)

46 453 მაყურებელი

**ამიკა 1:3 ალკმაარი**

0:1 ვან გალენი (13), 0:2 მეერდინკი (37), 0:3 ჰუსეგემესი (39), 1:3 დემბინსკი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| ალკმაარი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ამიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

**ალკმაარი — რეინჯერსი**

**ოსერი — ამიკა**

### G ჯგუფი

**ბენფიკა 2:0 დინამო**

1:0 შოკოტა (11), 2:0 სიმაო (28პ)

**ჰერენვენი 1:0 შტუტგარტი**

1:0 ილდირიმი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| ბენფიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ჰერენვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

**დინამო — ჰერენვენი**

**ბევერენი — ბენფიკა**

### H ჯგუფი

**ზენიტი 1:1 სევილია**

1:0 არშავინი (35), 1:1 ბაპტისტა (72)

**აეკ 1:2 ლილი**

0:1 ვიტაკიჩი (26), 0:2 დებუ (64), 1:2 ამპონსაჰი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| აეკ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

**სევილია — აეკ**

**ალემანია — ზენიტი**



„ლაციოს“ ქულა სიმონე ინძაგიმ გადაურჩინა

## დანია

### სუპერლიგა. XVI ტური

**რანდერსი 2:2 ვიბორგი**

**სილკებორგი 2:1 ნორდსიელანდი**

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### I ეტაპი. გადათამაშება

**ბრენტფორდი 4:3 პენ.(1:1) ბრისტოლი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge